"მზეთუნახავი"

პიესა 2 მოქმედებად, 21 სცენად, ეპილოგით

ნიკა კვაშალი

nikakvashali@gmail.com

© 2026 ნიკა კვაშალი
ყველა უფლება დაცულია

მოქმედების ადგილები: თბილისი; ბაკურიანი

მოქმედი პირნი:

ანუკი — მუსიკალური სკოლის კურსდამთავრებული; პედიატრი
თემური — ინჟინერი; ბიზნესმენი

ანუკის დედა — კომუნისტური პარტიის ისტორიის ლექტორი
ილიკო — ანუკის ბავშვობის მეგობარი; ძველიბიჭი

ანუკის თაყვანისმცემლები:

თორნიკე — ძველიბიჭი
სანდრო და გოგლიკა — ინტელექტუალები
რეზო — ხულიგანი
ტატო

დემონსტრანტები (2)
პაციენტი
ტოპოგრაფი
ხულიგნები (2)
მთვრალი რესტორანში
ყარაული
არტურა — შშმ ბიჭი
რეზოს მეგობრები (2)
გოგლიკას მეგობრები (5)
კოტიკო — კლინიკის მფლობელი (ხმა)
ექიმები (2)
პოლიციელი
კოლია დერგაჩევი — კალათბურთელი; ძალიან მაღალი

ტურიკო — გოგლიკას მეგობარი, ყველასთის საყვარელი პიროვნება
ნუციკო — ანუკის მეგობარი

დასი: თვითმკვლელი ქალიშვილი; ცისო — შშმ გოგონა (არტურას და); ანუკის მამა; მომიტინგეები, სამედიცინო პერსონალი, მატარებლის მგზავრები, ხულიგნები მატარებელში, მილიციელები, მიმტანები, რესტორნის სტუმრები, მთავარი პერსონაჟების მეგობრები, ჯარისკაცები

[**სცენის მარცხნივ:**

„ციხეს ვზი ეზომ მაღალსა,
თვალნი ძლივ გარდასწვდებიან,
გზა გვირაბითა შემოვა,
მცველნი მუნ ზედა დგებიან“

„შენმან მზემან, უშენოსა
არვის მიხვდეს მთვარე შენი,
შენმან მზემან, ვერვის მიხვდეს,
მო-ცა-ვიდენ სამნი მზენი.“

— ნესტან-დარეჯანი]

[**სცენის მარჯვნივ:**

მოსახევი კალენდარი. მოქმედების თარიღის ცვლილებისას, სცენების ქრონოლოგიასთან შესაბამისობაში, ყოველი სცენის დასაწყისში და/ან — მიმდინარეობისას, კალენდარს ფურცელი სძვრება, ვარდება. თუ ტექსტში, სცენის დასაწყისში, კალენდარზე თარიღი არაა მითითებული, კალენდარზე რჩება ფურცელი, რომელიც იყო წინა სცენის ბოლოს.]

მოქმედება I. სცენა 1. თორნიკე

[ტროტუარი შენობის შესასვლელის წინ. შესასვლელის თავზე — წარწერა: "მუსიკალური სკოლა N5".]
კალენდარზე: 17 ივნისი, 1974.]
ანუკი, ნუციკო, სანდრო, თორნიკე, ილიკო, თორნიკეს მეგობრები

(სცენა ჩაბნელებულია. ინთება პირველი პროჟექტორი, ანათებს პირველ ციტატას "ვეფხისტყაოსნიდან": "ციხეს ვზი ეზომ მაღალსა თვალნი ძლივ გარდასწვდებიან , გზა გვირაბითა შემოვა, მცველნი მუნ ზედა დგებიან." ინთება მეორე პროჟექტორი, ანათებს კალენდარს.)

(სცენა ნათდება. ტროტუარზე სანდრო დგას. გამოდიან ანუკი და ნუციკო.)

ნუციკო

(ანუკის სანდროზე ანიშნებს.)

შენ გელოდება. მოგწონს? იცის, რომ თორნიკე გიყვარს?

ანუკი

ახლა ვერ ვეტყვი, უხერხულია. მეორედ ვხედავ ცხოვრებაში. ვეცდები, მალე გავაფრთხილო... იქნებ, თვითონ მიხვდეს და გამანებოს თავი.

ნუციკო

მოგწონს?

ანუკი

ნუცი, მაგას როგორ მეკითხები. როგორ უნდა მომწონდეს, თორნიკე მიყვარს.

ნუციკო

ბოდიში-ბოდიში-ბოდიში. მიყვარხარ.

(ანუკის ჰკოცნის, მიდის.)

ანუკი

(სანდროს უახლოვდება.)

გამარჯობათ, სანდრო. ვინმეს ელოდებით?

სანდრო

თქვენ. შეიძლება? ცუდ დროს ხომ არ მოგაკითხეთ?

ანუკი

გამოცდიდან გამოვედი.

სანდრო

"შენობით" რომ ვილაპარაკოთ? თუ ნებას მომცემთ.

ანუკი

რა თქმა უნდა.

სანდრო

შეიძლება, გაგაცილო?

ანუკი

კარგი.

სანდრო

გაგიჭირდება, ალბათ. ცალკე — მუსიკა, ცალკე — სამედიცინო. ხომ არ გიფიქრია, მუსიკას მიუძღვნა თავი? მუსიკა მთელი სამყაროა.

ანუკი

კონსერვატორიაში სწავლის გაგრძელებას გულისხმობ?

სანდრო

თუნდაც. ორ სერიოზულ გატაცებას აყოლილი, ვერცერთის საგანს ვერ შეისწავლი მაღალპროფესიულ დონეზე. დილეტანტიზმზე ცუდი კიდევ რა იქნება ამ საბჭოთა კავშირში.

ანუკი

ექიმი მირჩევნია, გამოვიდე, პედიატრი. ბავშვებისთვის ტანჯვის შემსუბუქებაზე უკეთესი არაფერია. თუ მომინდა — ჩემთვის დავუკრავ. მუსიკალურში ატესტატს საერთოდ არ ავიღებდი, მაგრამ ცოდოა, ტყუილად ვიწვალე ამდენი წელი?! არადა, იცი, ისეთ დღეში ვარ, დაბადების დღე ვერ გადავიხადე წელს, ჯერ არ მომსვლია, სულ ვიხდი.

სანდრო

როდის გქონდა?

ანუკი

მაისში.

სანდრო

მცოდნოდა — მოგილოცავდი.

ანუკი

გმადლობ.

სანდრო

რამდენის გახდი, თუ საიდუმლო არ არის?

ანუკი

რატომ არის. თვრამეტის.

სანდრო

მთელი ცხოვრება წინ გაქვს.

ანუკი

სანდრო, შენ მათემატიკურზე სწავლობ?

სანდრო

მესამე კურსზე.

ანუკი

მეოთხეზე არ უნდა იყო? პირველ წელს არ ჩაგიბარებია?

სანდრო

დავისვენე. საზღვარგარეთ წავედი, ჩეხოსლოვაკიაში. ისეთი არაფერი ყოფილა, როგორც ყვებიან. ჩვენი ტურისტები — უკულტურობის განსახიერება. პირველი ადგილი, სადაც გაცვივდნენ, მაღაზიები იყო. მე, რაც ფული გადამიხურდავეს, სულ სასმელში დავხარჯე, არაფერი არ ჩამომყოლია. ერთი წიგნი ვიყიდე.

(მანქანის მუხრუჭების ხმა. თორნიკე, ილიკო და მათი მეგობრები შემოდიან. თორნიკე ჯიქურ მიდის სანდროსთან.)

ანუკი

(გახარებული.)

თონი...

(შეშინებული.)

თონი, რა მოგივიდა?!

თორნიკე

ეგ ვინ არის?

ანუკი

დალის ამხანაგია, ბიჭო.

თორნიკე

მერე შენთან რას მოგულაობს?!

ანუკი

გამომაცილა, რა მოხდა. რა მოგივიდა, რა?!

თორნიკე

სახლში წადი!

ანუკი

თონი...

თორნიკე

სახლში-მეთქი!!

ანუკი

აი, მივდივარ. ოღონდ შენ...

თორნიკე

მიდი!!

(ანუკი მიდის, მალ-მალე უკან იხედება.)

თორნიკე

(სანდროს.)

რა გინდა ამ გოგოსგან, ბიჭო?!

სანდრო

რა მოხდა?! ვერ გავიგე. თქვენ თვითონ რა გინდათ მისგან?

თორნიკე

უნდა ვცემო. ჰა, რას იზამ? ვცემ ეხლა. რას იზამ?

სანდრო

რა გინდა... რა გინდათ ჩემგან?! ვერ გავიგე, რა გინდათ...

თორნიკე

სულელი ხარ? ვერ გაიგე — სულელი ხარ. მართალი ვარ?! ეგრეა?! მაშინ თქვი, სულელი ვარო. ჰა-მეთქი!

სანდრო

რატომ უნდა... ვთქვა?!

თორნიკე

იმიტომ, რომ მე გეუბნები, შე ნაბიჭვარო!!! ვერ გაიგე?!

სანდრო

რა გინდა ჩემგან, ვერ გავიგე!

თორნიკე

გეუბნები, რაც მინდა. თქვი, სულელი ვარო! გაიგე?!

სანდრო

...დიახ, ბატონო... სულელი ვარ, სულელი ვარ, სელელი!!!

თორნიკე

არ ისმის, სიმონ!

სანდრო

სულელი ვარ, სულელი!!! სულელი!!!

თორნიკე

(იცინის.)

დედას სიხარულო. აი, ეგრე-ე...

(თორნიკე სანდროს სცემს, დაცემული სანდრო იკლაკნება, სახეს, მუცელს ხელებით იფარავს. ილიკო თორნიკეს შეკავებას ცდილობს.)

ანუკი

(მათკენ გარბის.)

თორნი!

თორნიკე

მოკლედ, ეგრე, რა, ჯიგარო, გამოყევი ხოლმე მაგას, გამოაცილე. შეგხვდები, ვიჭუკჭუკოთ, ვიბაზროთ, რამე და ჰა, ეგრე. ერთმანეთში მისვლა-მოსვლა, რამე...

(სანდრო დგება.)

ანუკი

(ტირის, ცხვირსახოცით ტუჩებიდან სისხლს სწმენდს სანდროს.)
სანდრო, აი, ეს მიიდეთ, აი, გამომართვით...

(სანდრო, ცხვირსახოცის მიკარებაზე, ტკივილისგან სისინებს, ანუკის ხელსა აუკრავს, მიდის.)

თორნიკე

(ანუკის.)
ჰო, კაი ეხლა, გეყო. მოუშუშდება. დედას შვილებს ეგრე უნდათ, გზა ნახოს მაგ ახვარმა... ანი, რა დაგემართა, კაი, რა, სიმონ! მოიკალი ეხლა თავი, რა. იქნება გევასა ეგ მასტი?! კაი მასტია, რა! ანი, კარგი, რა, სიმონ, ხო იცი, არ შემიძლია ეგრე. რა ნერვებს იფუჭებ. ხორცს გავიგლეჯავ ჩემი ხელით, ოღონდ შენ ეგრე არ იყო ჩემზე. თუ მივქარე — მივქარე. არ დამიჭრია, წავარტყი ერთი-ორი. თუ გინდა, მივალ, ბოდიშს მოვუხდი მაგ სირს. კაი, სიმონ, ხო არ უნდა მოკვდე და მომკლა! უშენოდ, ხო იცი, არ შემიძლია...

(მტირალი ანუკი თორნიკეს ხელს გააშვებინებს, გარბის.)

მოქმედება I. სცენა 2. თორნიკეს გარეშე

[მარცხნიდან მარჯვნივ — სადარბაზოს კიბის ბაქანი; ანუკის ბინა: სასტუმრო ოთახი ანუკის მამის კაბინეტის კარით, როიალით, ფანჯრის გვერდით — შუბერტის, ფონ კარაიანის, რახმანინოვის, ელისო ვირსალაძის და კასალსის ფოტოები; მომდევნო — ანუკის საძილე ოთახი.]

კალენდარზე: 25 მარტი,1976.

ანუკი, დედა, ილიკო

დედა

აბები მიიღე, დედიკო? არ გამოტოვო, საუკეთსო ნევროპათოლოგები დაგასია მამიკომ.

ანუკი

კი.

დედა

უკეთესად გძინავს, დედიკო?

ანუკი

ისევ ისე.

დედა

არ შეიძლება, დედიკო, ასე ნერვიულობა. ორი წელიწადი გადის. სულ აბებს ხომ არ ყლაპავ. რომან-ექიმი ამბობს, რომ ჯანმრთელობას დავანგრევთ ასე. როგორი წყნარი იყავი, სულ გიხაროდა ყველაფერი, ახლა აღარც ნუციკოს დაბადების დღეზე წახვედი, არც კონცერტებზე დადიხარ. სულ სახლში ჯდომა არ შეიძლება, ფერი გაქვს, დედიკო, შეხედე, როგორი.

(კიბის ბაქანზე ილიკო შემოდის, კარზე რეკავს. დედა კარს აღებს.)

ილიკო

გამრჯობათ, ლილი დეიდა. როგორ ბრძანდებით?

დედა

მოდი, ილიკო, შვილო. ისევ ისე ვართ. არ ჭამს, არ ძინავს, არ გადის არსად. დაელაპარაკე, შენი ჭირიმე. მე არ შეგიშლით, იქით გავალ. ანუკი, დედიკო, ილიკო მოვიდა, გაუმასპინძლდი. რაც გესიამოვნებათ, მითხარით, მოგართმევთ.

(დედა გადის.)

ილიკო

ანი, სალამი. კარგი, რა, ანი. აი, ძაან გთხოვ რა, აი, ყელის გამოწევით გთხოვ. კარგი რა. თონიკა ვაბშჩე მკვდარივით იყო, გიჟს გავდა. უშენოდ არ შეუძლია.

ანუკი

ილი, ჩაი გაგიკეთო? კარგი ჩაი, ვარდის ფურცლებით.

ილიკო

შენი ხელიდან შხამს დავლევ.

ანუკი

თორნიზე მართალია, რომ კანონიერ ქურდად აირჩიეს?

ილიკო

"აირჩიეს" არა თქვა — მაგაზე ყურებს აჭრიან, კაცი რო იყოს... ბოდიში, ეგ ზედმეტები ვთქი. არ მეძინა. ეგრეა, თონიკა წამოაყენეს, რამკაში ჩასვეს. მაგარი პატივისცემა აქ მთელ საიუზში. ანი, რა მინდა, იცი?... თონიკამ შემომითვალა: წერილებს ვწერ ანუკის, არ მპასუხობსო. არაფერს ისეთს არ ვწერ, სულ ხვეწნით ვწერ, ეგ, ხო იცი, ანგელოზიაო და მიდიო, რა, სთხოვეო, სთხოვეო, მიპასუხოსო. ანი, ზის ეხლა, ცუდ ციხეში ზის, "კრიტკაში", ჩერესჩურ ჟოსტკი ციხეა, "გრევი" ვერ შედის, ვერაფერი ვერ შედის, ძაღლები... მილიცია მაგარი ჟოსტკია. მაგისთვის შენი წერილი რა არი, იცი?! პატარა ნაგლეჯზე დაუწერე, რა, თუ მაგის ხათრი არა გაქვს, ჩემი ხათრით დაუწერე. ძალიან გეხვეწები.

ანუკი

ილი, მურაბა ალუბლის გინდა თუ მაყვლის?

ილიკო

ყელსა სჭრი, რა, ანი.

ანუკი

ილი, არაფერი არ შემიძლია. თორნის აღარასოდეს მივწერ, აღარასოდეს აღარ შევხვდები. არ გავთხოვდები არასდროს. რანაირები ყოფილხართ კაცები. აღარაფერს მოველი ცხოვრებაში. თუ ვინმე განსაკუთრებული გამოჩნდა — მივთხოვდები. თუ არადა — არა ხართ განსაკუთრებულები. არც თორნი. არც შენ, ილი. იმ სანდროზე უკეთესი არაფრით ხართ. ის სუსტია, თქვენ... თქვენ — არ გეგონოთ, რომ ძლიერები ხართ. სუსტები ხართ. არ გეწყინოს, ილი.

მოქმედება I. სცენა 3. პაემანი

[ანუკის ბინა.]

კალენდარზე: 22 მაისი, 1987.

ანუკი, დედა, თემური

(ანუკი საპირფარეშოდან გამოდის. ტელეფონი რეკავს.)

დედა

(ანუკის.)

რაღა ახლა აგიტყდა ტუალეტში სირბილი! (ტელეფონზე ანიშნებს) ის ახალგაზრა იქნება! გვიან დავარეკინებ. პაემანზე თუ გაიქეცი ტუალეტში, კაი შთაბეჭდილება დარჩება იმ პიროვნებას.

(ყურმილს იღებს, ტკბილად.)

დიახ. (სახე ემანჭება, შეცვლილ კილოზე, უკმაყოფილოდ) დაელოდეთ, ახლავე.

(ანუკის.)

მოდი, შენი მუქთები გირეკავენ. არაა მოსვენება არც დღე, არც ღამე.

ანუკი

(ყურმილს იღებს.)

დიახ. გამარჯობა. მითხარი. ნუ ჩქარობ, ნელა. შვეულმფრენი არ მოდის? ვერტალიოტი არ დადის? შენი ქმარი სად არის? ხმამაღლა, არ ისმის... არაფერი არ ისმის... ახლა მთავარს გავიმეორებ — თუ რაიმე ვერ გავიგე, შემისწორე. სიცხე ოცდათვრამეტი და შვიდი წუხელ საღამოდან, სურდო, ხმა აქვს

ჩახლეჩილი, ხველა — მშრალი, ოლიკო აქტიურია. სწორია? კარგი. მაშო, ყურადღებით მისმინე. ჩასაწერი გაქვს? მისმინე. თუ ვერ გაიგებ — მითხარი, გავიმეორებ. მწვავე ბრონქიტი არ არის, დიაგნოზი არასწორია. დანიშნულება შეცდომითაა. ახლავე შეწყვიტეთ ამპიცილინი. დაუყოვნებლივ. არავითარი ანტიბიოტიკები. არანაირი მდოგვის საფენები და ხველის სიროპი არ მისცეთ, ტყუილად აწვალებთ. ვირუსული ლარინგოტრაქეიტია, არა ბაქტერიული. თუ მანდ იშოვი — ტუტე სითხეები ასვი. სიცხის დამწევი — მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში. ნაკლები ილაპარაკოს. შეშა გაქვს? თბილოდეს. ეცადე, ტენიანი ჰაერი იყოს. როგორ და... წყლიანი ან თოვლიანი ტაშტი დადგი ღუმელზე, იდუღოს. სანამ ამოდუღდება, ჩაამატე. როცა მოახერხებ — დამირეკე.

(ყურმილს დებს.)

დედა

აღარაა ამათგან მოსვენება არც დღ, არც ღამე. რა დროს ახლა დარეკვაა. რა არის რომ ერთი ბეჭედიც აღარ დაგრჩა. ხომ არ შეიძლება, ყველაფერი ავადმყოფებს გადააყოლო. ვიღაცა იეზიდი ბაღანასთვის ჩემი ნაჩუქარი საყურეები რომ გაყიდე... ახლა, ბოვშვი ყველა კაია, მარა... კიდევ კარგი, ბებიაშენი ცოცხალი აღარაა. ხოდა, სიყვარულო, რას ვამბობდი... ბიძია გრიშა ვიგინდარას არ აგირჩევდა. თუ არადა — ყლაპე ის აბები და იყავი. ცამეტი წელია, შვილო, ყლაპავ. რა ჯანმრთელობა გიძლებს. რას ვიზამთ, ექიმი გინიშნავს და რა ვქნათ, მოითმინე.

(ტელეფონი რეკავს, მიიჭრება, ყურმილს იღებს.)

ვინ კითხულობს? სამსახურში გამოიძახეს, გენაცვალე.

თემური (ხმა)

როდის დაბრუნდება, ქალბატონო?

დედა

(ტკბილად.)

ხუთი საათისთვის, გენაცვალე.

თემური

გმადლობთ.

დედა

კარგად იყავით, გენაცვალე.

(ყურმილს დებს, ანუკის.)

"ბანან" შარვალს ნუ ჩაიცმევ, ბიძია გრიშას არჩეულუ პიროვნება წესიერი ახალგაზრდ იქნება, არ იფიქროს, რომ თავქარიანი ხარ ვითომ.

ანუკი

დედა, ძალიან გთხოვ. რასაც მინდა, იმას ჩავიცვამ. მეთვრამეტე საუკუნე ხომ არ არის. აბანოშიც ხომ არ წამიყვანთ, დამათვალიერონ, ტან-ფეხი როგორი მაქვს — იქნებ არ მივარგა…

დედა

ჩემს გოგოს ტან-ფეხს ვინ ოხერი და უზრდელი დაუწუნებს. რაც გინდა, ის ჩაიცვი, ოღონდ არ გადაიფიქრო, სიყვარულო. ორი წელია, გეხვეწეთ. შენ ხომ გადათქმა არ იცი, დაპირებული ხარ, გახსოვდეს.

ანუკი

არ გადავთქვამ.

(ისევ საპირფარეშოში მიდის.)

დედა

რაღა ახლა აგიტყდა ტუალეტში ჯდომა, უკეთესი დრო ვერ ნახე?! ნერვიულობაზე გაქვს, არაფერი არ გჭირს. რანაირი მყავხარ, დედიკო. მტვერი რომ ჩამოვარდება — იმას გრძნობ. პრინცესა ნა გაროშინე.

(საათი 05:30-ს აჩვენებს. ტელეფონი რეკავს, ანუკი მივარდებაა, ღრმად ჩაისუნთქავს.)

ანუკი

გისმენთ!

თემური

ანუკის სთხოვეთ, თუ შეიძლება.

ანუკი

მე ვარ.

თემური

გამარჯობათ. ისა ვარ... ვინც დღეს უნდა გაგასეირნოთ.

ანუკი

დიახ.

თემური

იქნებ, გცალიათ... რომელ საათზე გაწყობთ?

ანუკი

არ ვიცი...

(დედას ყურმილზე თავი აქვს მიდებული, საუბარს აყურადებს; სახე ემანჭება, ქალიშვილს ანიშნებს — რას ბოდავ, უკეთესი პასუხი ვერ მოიფიქრეო.)

თემური

შვიდზე?!

ანუკი

დიახ, შვიდზე.

თემური

ფილარმონიასთან თანახმა ხართ? სხვაგანაც შემიძლია, მანქანაზე ვარ.

ანუკი

კარგით, ფილარმონიასთან.

თემური

თქვენ როგორ გიცნოთ? მე ძეგლთან ახლოს დავდგები, ქალის ძეგლი არის თუ იცით, "მუზა".

ანუკი

დიახ. ვიცი, როგორ არა.

თემური

თქვენ როგორ... გიცნოთ?

ანუკი

ოცდათერთმეტი წლის ვარ. შარვლით ვიქნები.

თემური

მაშინ ძეგლთან ახლოს დავდგები.

ანუკი

კარგით.

თემური

საღამომდე გემშვიდობებით.

ანუკი

კარგით.

(ყურმილს დებს.)

დედა

რაა, დედა, რანაირად შლეგივით პასუხობ. რანაირი წყნარი ლაპარაკი იცი ყოველთვის. ცოტა... ახლა, უზრდელი არა, მაგრამ ცოტა მკაცრიც უნდა მოახერრო. არ შეგიძლია, დედა გენაცვალოს. რას იტყვი? გრიშა ბიძია ცუდს არ აგირჩევდა.

ანუკი

შარვლით ვიქნები-მეთქი და — მაშინ ძეგლთან დავდგებიო. თან — ის ვარ, ვინც უნდა გაგასეირნოთო. ოთახის ძაღლზე იტყვიან.

დედა

დედა, დედა, რა მომხდარა. რა მოხდა მერე. ნერვიულობს ის ბიჭიც. გრიშა ბიძია ძალიან აქებს, ძალიან ბიჭიაო.

ანუკი

მისთხოვდება?

დედა

ვის?

ანუკი

მაგ ბიჭს.

დედა

ვინ?

ანუკი

გრიშა ბიძია.

დედა

(იცინის.)

ნუ ბოდავ რაღაცეებს. ჯობია, იფიქრე, რას ეტყვი. ცხვირსახოცი არ დაგრჩეს.

(ანუკი სარკის წინ ტრიალებს, მიდის.)

დედა

ღმერთო, შენ მოხედე ჩემ სულელ გოგოს, ჩემს მზეთუნახავს.

მოქმედება I. სცენა 4. "მუზა"

[ქანდაკება "მუზა" ფილარმონიის წინ.]

თემური, ანუკი.

(ქანდაკებასთან თემური დგას. ანუკი უახლოვდება. თემური გახევებული შესცქერის.)

თემური

გამარჯობათ... მე ვარ... თქვენი დღევანდელი... ესე ვთქვათ... რომ... ბატონმა გრიშამ... გაგასერინოთ... რასაც მიბრძანებთ..... თემური. თემური...

ანუკი

(ხელს უწვდის)

გამარჯობათ.

თემური

(ყოყმანის შემდეგ, ხელზე ჰკოცნის.)

მოხარული ვარ. მე ავირჩიო, თუ თქვენ იტყვით, სად გესიამოვნებათ, რომ... წასვლა?

ანუკი

როგორც გენებოთ.

თემური

მაშინ ჯერ გავისეირნოთ. აქვე. სადმე... მერე კინოში შევიდეთ, თუ, ვთქვათ, რამე გადის ახალი.

ანუკი

კარგით.

(სეირნობენ. სასაუბროს ეძებენ.)

ანუკი

გადის რაიმე საგულისხმო?

თემური

(ფილარმონიისკენ იშვერს ხელს)

იქ. ფილმია. ოპერა.

ანუკი

"ტრავიატა"?

თემური

ხო, დიახ. ძაან მაგარი დადგმული ყოფილა.

(პაუზა.)

...მთელი სცენებია.

ანუკი

რომელ საათებშია?

თემური

ცხრაზე... მგონი. წავიდეთ?

ანუკი

სიამოვნებით ვნახავდი. და მოვისმენდი.

თემური

იქამდე აქ შევიაროთ, ჩამოვსხდეთ, სასტუმროა, "საქართელო", კაი რესტორანია შიგ. ცოტა შამპანიური დავლიოთ... მუსიკას მოვუსმინოთ.

ანუკი

კარგით.

მოქმედება I. სცენა 5. რესტორანი "საქართველო"

რესტორნის ცარიელი დარბაზი.

ანუკი, თემური, ოფიციანტი.

(ანუკი და თემური მაგიდასთან სხედან.)

თემური

რაც ანდროპოვის ამბებია, ხალხი აღარ დადის. რესტორნები გეგმას ვერ ასრულებენ. "მუხამბაზში" ერთხელ შვიდასი მანეთი მოგება ჰქონდათ ღამეზე. სიგარეტი ხო არ გნებავთ?

ანუკი

გმადლობთ, არ ვეწევი.

თემური

(გაკვირვებით.)

არც გაგისინჯიათ?

ანუკი

ერთხელ გავსინჯე.

თემური

(კმაყოფილი, იღიმება. ოფიციანტი მოდის ბლოკნოტით და კალმით. ოფიციანტს.)

ჰა, აბა, დასალევი რა გაქვს?

ოფიციანტი

კონიაკი, შამპანიური, ღვინო, არაყი.

თემური

შამპანიური მოიტანე. ხომ არ დაგვიჭერენ დალევის მერე?!

ოფიციანტი

(ქირქილებს.)

ამბებია, ხომ იცით.

თემური

საჭმელი რა გაქვს?

(ანუკის.)

აირჩევთ — გამიხარდება. ყველაფერი ავიღოთ.

ანუკი

კარტოფილის პიურე ცხიმის გარეშე, ზეთისხილით. თუ შეიძლება. შავი ჩაი და "ბორჯომი"... თუ შეიძლება.

თემური

(ოფიციანტს.)

ეგეც მოგვიტანე. მიყურე.

(მენიუში უთითებს.)

ეს ასორტი... ასეტრინა ნა ვერტელე... ეს ხიზილალა, წითელი...

(ანუკის.)

შავ ხიზილალას ხომ არ მიირთმევთ?

ანუკი

ვერცერთს ვერ შევჭამ. გმადლობთ.

თემური

როგორც გენებოთ. ცოტა... ეგ ცოტა... როგორც თქვენ გესიამოვნებათ, თქვენს მსახურად მიგულეთ.

(ანუკი უღიმის. ოფიციანტს "შამპანური" და"ბორჯომი" მოაქვს.)

თუ ნებას მომცემთ, ცოტა შამპანიურს დაგისხამთ. ერთი ყლუპი...

ანუკი

ვერ დავლევ... მაპატიეთ. გმადლობთ.

თემური

სიმბოლურად.

ანუკი

კარგით.

თემური

რა მინდ ვთქვა. ბატონი გრიშა...

ანუკი

...დედას ძმაა.

თემური

დიახ. ვაჟკაცი ბიძა გყავთ. ჩემი უფროსი მეგობარია. რა მინდა ვთქვა. თქვენი გაცნობა დიდი პატივია. ჩამთვალეთ, რომ... როგორც ძალიან ახლობელი... ბოდიში, ეგ ცუდად მომივიდა. ჩამთვალეთ, რომ ძალიან დიდი პატივია, რომ გაგიცანით. ყველაზე კარგი, რაც არი ამ სამყაროში, თქვენთვის მისურვებია. ყველაზე კარგი.

(ანუკი "ბორჯომის" ბოთლს იღებს, გახსნას აპირებს, თემური გამოართმევს, შეყოვნდება, გახსნის, ჭიქაში დაუსხამს.)

ანუკი

(რათა გაზი გაუვიდეს, ჩაის კოვზით ურევს "ბორჯომს"ჭიქაში.)

გმადლობთ. მეც მოხარული ვარ რომ გაგიცანით.

თემური

("შამპანურს" სვამს.)

უ-უჰ!

ანუკი

("შამპანურს" მოწრუპავს)

გმადლობთ.

თემური

თქვენ, ისე, კინო გიყვართ, არა?!

ანუკი

ადრე მიყვარდა. კვირაში ორჯერ დავდიოდი დაახლოებით. კინოში.

თემური

ისა... ოთარმა, იოსელიანმა რო ფილმი გადაიღო, ნახეთ? მაგარი ფილმია, არა?! მე ორჯერ ვნახე. მეორედ სპეციალურად შევედი — დიალოგები მომესმინა... მანდ დიალოგებს უნდა დააკვირდე, მთელი ამბავია — ისეთი რაღაცეებია მორტყმული. ეს კაცი ძაან ძლიერად დგამს. მე, იცით, რაღაცით "კალიგულას" მაგონებს. ნახეთ "კალიგულა"? კასეტებზე დადის. გასაგებია, სულ სხვა აზრებია

ამ ფილმებში, მაგრამ ერთ მომენტში გავს. ეს კაცი ქალს რომ უყურებს, ეგეთი ადამიანის მთელი ბუნება ჩანს, ნაღდი მხეცივით როგორ უყურებს. ნება მომეცით, ხელოვნების დავლიო.

(სვამს.)

(პაუზა.)

ანუკი

როცა მაღალპროფესიულ ფილმებს უყურებ, მკვეთრი შთაბეჭდილება რჩება. კინო მუსიკამდე, ლიტერატურამდე, ალბათ, ვერასოდეს ავა, მაგრამ თავისი განუმეორებელი საშუალებები არაჩვეულებრივი აქვს.

თემური

ლიტერატურამდე, რა თქმა უნდა... ჰემენგუეის რომ წაიკითხავ... მოგწონთ ჰემენგუეი?

ანუკი

ძალიან.

თემური

ჰემენგუეის რომ წაიკითხავ, ისეთ კინოს სად ნახავ. ყველაფერში ნაღდი კაცია. ახლობელი კუბაში იყო, ჰემენგუეის სახლში წაიყვანეს ექსკურსიაზე. გგონია, რომ მიხვალ, მაგარ სახლს ნახავ, მაგარ ვილას, მსახურებს, ეგეთ რამეებს, ბოდიში თქვენთან — ნამდვილი ტუალეტი ყოფილა. პატარა, ძიშოვად გაკეთებული, რო არ იცხოვრება. სათევზაო ხარახურა. მაგას შეეძლო... ჩიკაგოში ან სადმე ლოს-ანჯელოსში ცათამბრჯენს არა, მაგრამ ერთ ფირმას იყიდიდა. მასე ფაცხაში ყველა იცხოვრებს...

ანუკი

დიახ.

თემური

აქ მუსიკას უკრავდნენ ადრე, დღეს, ეტყობა, არ იქნება. თქვენ ექიმი ბრძანდებით, არა?!

ანუკი

დიახ. პედიატრი.

თემური

მე ტრესტის მმართველის მოადგილე ვარ... "გეპეი" დავამთავრე... ნერვიული სამუშაოა. ხალხი, საკითხები. უხეში საქმეა. დილას წახვალ — ღამე მოხვალ. ფული არი, ყველაფერი არი, ფულიც არის, პერსპექტივაც. შვებულებაში არ გავსულვარ, წესიერად არ ჩამიცვია... მარტო კოსტუმები მაქვს შვიდი. ფინურები. საჭიროა — ვიყიდი. ბინა ნაღდად მჭირდება — ვიყიდე. ჩემი მუშები მოვიყვანე, რემონტი, რამე, მოვაწყე. გამომადგა რო?! შიგ არავინ ცხოვრობს... ღამე მივალ, ტელევიზორს ჩავრთავ, ცოტა ვიდეომაგნიტოფონიდან ვუყურებ და მეძინება. კასეტები, რაც გამოდის, ყველაფერი მაქვს, მოაქვს ერთ... პიროვნებას. ზოგის ყურება შეიძლება, ზოგი უფრო ისეთია... პატარა ბიჭებისთვის. ფეხბურთი მრჩება... თქვენ გიყვართ ფეხბურთი?

ანუკი

არ მინახავს.

თემური

ფეხბურთს თუ არ ვუყურე, არ შემიძლია. საქმე რო გაჩერდეს. პირველ ლიგას, ახალგაზრდულებს, დუბლებს — ეგეთებს არა. ასნავნოის. "ნოლშესტი" მყავს, "ნოლსემს" როცა მინდა, მაშინ ვიყიდი, პრობლემა არ არი, ფული არი. "ნოლშესტს" ვაჩერებ, სამსახურში "უაზიკით" დავდივარ. ეგრე აღარ ვაპირებ, სამუშაოს ეყო, რაც ოპსილა დავახარჯე. ვიყიდი, დავაყენებ გარაჟში, დამჭირდება — მექნება...

ანუკი

(საათზე იხედება.)

მაპატიეთ, ჩემი წასვლის დროა.

თემური

კინო არა ვნახოთ?! ოპერა...

ანუკი

სახლში შეშფოთდებიან თუ დავიგვიანე.

თემური

(აჩქარდება.)

რა თქმა უნდა, ნუ ნერვიულობთ, დროზე მიგიყვანთ.

(ოფიციანტს ანიშნებს — ანგარიში მომიტანეო.)

მოქმედება I. სცენა 6. ანუკის ვერდიქტი

[ანუკის ბინა.]

ანუკი, თემური, დედა, მამა

(კიბის ბაქანზე ანუკი და თემური შემოდიან.)

ანუკი

(ხელს უწვდის თემურის, უღიმის.)

დიდი მადლობა გამოცილებისთვის. მადლობა საღამოსთვის.

თემური

(ხელზე ეამბორება.)

ჩემთვის ეს დღე... სანამ ცოცხალი ვარ...

ანუკი

დიდი მადლობა. ღამე მშვიდობის.

(პაუზა.)

თემური

დიახ. არასოდეს დამავიწყდება... ღამე მშვიდობისა. ნებას მომცემთ...

დაგირეკოთ?

ანუკი

ამ კვირაში არ მცალია. მერე — ვნახოთ.

თემური

დიახ. მაშინ ნება მომეცით... დაგემშვიდობოთ...

ანუკი

კარგ ღამეს გისურვებთ. ძალიან დიდი მადლობა.

თემური

კარგად დაიძინეთ...

(სცენა ბნელდება.)

(სცენა ნათდება. ქანცმილეული ანუკი სამზარეულოს მაგიდასთან ზის, ჩაის სვამს.)

დედა

არ გესმის, გოგო! ბოლოსდაბოლოს, ამოიღე ხმა. რას ჩაგიშტერებია თვალები მუხლებში, მოწყვიტე ცოტახანი. დედას არ უნდა უთხრა, რა ამბავია?! (წყნარად) როგორი ბიჭია? მოქცევა ექნება, ნამდვილად, წესიერი, ბიძია გრიშა ცუდს არ აგირჩევდა.

(პაუზა.)

ანუკი

(მწარედ.)

შტერია. ყალბი შტერი. ვაიმე! ვაიმე!! არა, არა, შტერი კი არ არის, მაგრამ... კარგი ბიჭია, მშრომელი, პატიოსანი, მაგრამ... როგორ ცუდად გამომივიდა. ფულიც დავახარჯინე... ფული დახარჯა. ძალიან კარგი ბიჭია, უბრალო, მუშაობს. რატომ რჩება აქამდე მარტო. ცოდოა, შვილები უნდა. ისეთი ცოლი გამოადგება, სიგარეტს რომ არ ეწევა...

დედა

დედიკო, შენ ხომ არ ეწევი, კვამლზე ცუდათ ხდები...

ანუკი

ეგ რა შუაშია, დედა, სხვა კონტექსტში ვიგულისხმე.

დედა

რასა ბრძანებთ!!! კონტექსტში იგულისხმა ქალბატონმა!! აბა, საშენო არაა?! შენ რომ გეკუთვნის, შენს უწმინდესობას, ისეთი არაა?! არ რცხვენია მერე იმ გასაოხრებელს, ისეთი ვერ გახდება, შენ რომ ფანტაზიორობ?! მარა შენ თვითონ თუ იცი, როგორი გინდა?!... იცი თუ არ იცი!! რა ჭკუა უნდა ქონდეს შენი ასაკის ქალს, რომ ეგრე...

ანუკი

მადლობა ჩაისთვის.

(თავის ოთახში გადის, სამუშაო მაგიდასთან ჯდება, საბეჭდ მანქანაზე ბეჭდავს.)

დედა

(სამზარეულოდან ყვირის.)

სანამ მე და მამაშენი ცოცხლები ვართ, გაჭირვებას ვერ გრძნობ, მერე გაიგებ, ჩვენი ხელი რომ მოგაკლდება, ნებისმიერ მაჩანჩალაზე თანახმა იქნები — სადღა იქნება!

(ბინაში მამა შემოდის — პიჯაკი, ჰალსტუხი, პორტფელი, — თავის კაბინეტში გადის და ჟაკეტში, ფლოსტებით, გაზეთით ხელში ბრუნდება. დედა დასდევს, ელაპარაკება. სამზარეულოში შედიან.)

დედა

(მამას, ჩუმად)

...მეტი არაფერს ამბობს. რა დაუწუნა, რა არ მოეწონა. სიტყვა არ დასცდენია. ჩაიკეტა, დისერტაციას ბეჭდავს. სიტყვა არ უთქვამს. აღარ ვიცი, რა ვქნა. მიდი, დაელაპარაკე, იქნება, შენ გითხრას რამე.

(ხმას დაუწევს, აღარ ისმის, რას ამბობს.)

(ანუკი ოთახიდან გამოდის, სამზარეულოში შედის.)

ანუკი

(გულგრილად.)

თქვენ რა გესმით?! მეტი რა ვქნა, დედა, მამიკო... იმ დამცირებაზე მივდივარ, ვიღაცამ გამაცნოს კაცი. ცხოვრება ზოგჯერ ისეთი ყოფილა, არაფერი შენზე არ არის დამოკიდებული... არა, არ არის მართალი. არ ვიცი, როგორ ვთქვა... ყალბს არ მინდა, მივეყიდო... ან სასტიკს. არ გავყვები. არ მინდა. ან განათლება აქვთ, კარგად უჭირავთ თავი და... საჩემო არ არის. ან... საბრალო არ ეცოდებათ. მესმის, რომ ღირსი არ ვარ. როგორ ვცხოვრობ... წურბელასავით. რაღაც უნდა ვქნა... რაღაც კარგი უნდა გავაკეთო. რამდენი გაჭირვებულია...

დედა

(ყვირის.)

შენ ელოდე, წიგნებში რომ კაცებია, ისინი გადმოვიდნენ... სანამ ზეციდან მეფისწული არ ჩამოვა და არ მოგიყვანს, დაელოდე. ორმოცდაათი წლის რომ მიძაღლდები, მერე ყველა გითხოვს... თან კარგი ცხოვრება გინდათ, არაფერი არ გაკლდეთ — ბრილიანტი, შუბა, წასვლა!!!

(პაუზა.)

ანუკი

(ჩუმად.)

ბრილიანტები რა შუაშია?! ვისაც ვეყვარები და მეყვარება... თუ მისი ღირსი ვარ, თუ არსებობს... სადაც მეტყვის, იქ წავყვები. არადა — არ მინდა. მაინც დაველოდები.

(მამა ხელში იქცევს ანუკის მტევანს, ლოყაზე იდებს, შემდეგ მტევანს აკოცებს.)

მოქმედება I. სცენა 7. "ჟიგული-06"

[ანუკის ბინა.]

კალენდარზე: 27 ოქტომბერი, 1987.

ანუკი, დედა, თემური

(ანუკი თავის ოთახში ბეჭდავს. დედა ფანჯრიდან იყურება, ანუკისთან მიდის.)

დედა

ისევ თავის "ნოლშესტიში" ზის შენი ვაჟბატონი. ერთი გადმოსვლა გადმოვიდა, ბოთლიდან რაღაცა წყალი დალია და ზის ისევ ისე. რით ვეღარ გაიგო, რომ არ გინდა.

ანუკი

კარგი, დედა, რა უნდა ვქნა, იჯდეს. არაფერს არ აშავებს. ერთხელ აღარ დაურეკია, არ მიახლოვდება, მანქანით დამყვება. გერა დეიდას შვილიშვილები ფეხბურთს რომ თამაშობდნენ ეზოში, თაიგული გამოატანა ორჯერ. ცუდს არაფერს აკეთებს. შენზე უფრო მე მომბეზრდა. ნუ ღელავ, დედა, — ვნება წარმავალია, დრო კლავს. მობეზრდება მალე.

(ფაჯარასთან მიდის, მალულად იჭყიტება.)

დედა

როგორ ყველა ხათაბალაში შენ უნდა გაება. როგორ იმედი გვქონდა მეც, მამაშენსაც, გრიშა ბიძიასაც.

ანუკი

გაუვლის. ვნება წარმავალია, დრო კლავს.

(თავის ოთახში ბრუნდება, სამუშაო მაგიდასთან ჯდება, წერს.)

(კალენდარს ფურცლები სცვივა, თარიღები იცვლება. ყოველ ცვლილებაზე, ანუკი და/ან დედა ფანჯრიდან იხედებიან. ხშირად,

(იმისგან განსხვავებული სამოსი აცვიათ, რაც კალენდრის მორიგი ფურცლის ჩამოვარდნამდე. ხანდახან, ერთი მეორეს ჰკითხავს ან ანიშნებს: "ისევ დგას?." პასუხი ყოველთვის ერთია: "დგას.")

კალენდარზე: 11 ივნისი, 1988.

ანუკი

...ნუცი, უფრო დაწვრილებით მითხარი.

(ისმენს.)

არ გაგიკვირდეს რასაც გკითხავ. ცუდი სუნი ასდის კანიდან ბავშვს? კი, ბავშვს. თვალები რა ფერის აქვს? მამამისს რა ფერის თვალები აქვს? გამიგე. ნუცი, ყოველთვის საშინლად ვგრძნობ თავს, როცა ტელეფონით ვსვამ დიაგნოზს. თუ ალტერნატივა არ არსებობს — მხოლოდ მაშინ ვიქცევი ასე. ფენილკეტანურიას ჰგავს. როგორ გამორჩათ სამშობიაროში. სად იმშობიარა? სასწრაფოდ მომიყვანონ. ხვალ. არა უშავს, მე გადავიხდი. კი, მაგის ფულსაც მივცემ.

დედა

(ფანჯარას სცილდება.)

დედიკო, შენი თემური მესამე დღა, არ ჩანს.

ანუკი

დედა, ჩემი რატომაა. და — მეოთხე დღეა, რაც არ მოსულა.

(კალენდარს ფურცლები სცვივა. ხანდახან, ანუკი და დედა ისევ ფაჯრიდან გაიხედავენ — რეაქციაზე ეტყობათ, რომ თემურის მანქანა აღარ დგას. ხშირად, ფურცლის ცვლილებისას, კვლავ სხვა სამოსი აცვიათ.)

კალენდრზე: 4 ივლისი, 1988.

ანუკი

(ფანჯარასთან)

თუ გონს მოეგო — კარგია. მაგრამ, დე, იმისიც მეშინია — რაიმე ხომ არ შეემთხვა?! გრიშა ბიძია ამბობს, რომ სამსახურში ბიულეტენი აიღო.

დედა

არ ვიცი, დედიკო. ხომ ამბობდი — დრო კლავსო. გრძნობებსო. ლამის ერთი წელი მაგ მანქანაში იჯდა დარჭობილი და მობეზრდა, იქნება. ცოცხალი ადამიანია, წავიდა, ტოლი და სწორი ნახა, თავისი ჩალხანა.

ანუკი

მასე თუა — კარგია. მაგრამ... თუ რაიმე შეემთხვა?! ჩემი ბრალია, იქნებ. განიცდიდა, ალბათ, ძალიან. ამდენი თვე.

დედა

შენი ბრალი რანაირადაა?! პატარა ბავშვივით მყავხარ. ყველაფერს შენს თვზე იბრალებ. რა შუაში ხარ შენ, დედიკო.

კალენდარი: 21 ივლისი, 1988.

(ტელეფონი რეკავს.)

დედა

(ყურმილს იღებს.)

გისმენთ, გენაცვალე. რომელი ხატია? ახლავე.

(ანუკის.)

მოდი, ის გირეკავს, ხელიდან წასული რომაა, თბილისის ზღვაზე რომ ქირაობს. ბავშვია ისევ ცუდათო. როგორ შეიძლება მაგის დედობა, უნდა წაართვას სახელწიფომ უფლებები, ჩამოართვას პატარა ანგელოზი.

ანუკი

ნუ ამბობ მასე. უყვარს შვილი.

(ყურმილს იღებს.)

ხატია, როგორ ხართ? აბა, მითხარი. ნუ ჩქარობ. ნელა ილაპარაკე. ახლა ძირითადს, რაც მითხარი, გავიმეორებ. ყურადღებით მოისმინე. დაწყნარდი. სიცხე უცბად მისცა; ოცდაცხრამეტი და ხუთი აქვს; ცხვირიდან გამონადენი არ აქვს; არ უღებინებია; მოდუნებულია; ყურის ტკივილს უჩივის; როცა თავს ამოძრავებს — ტირის. სწორია? კარგი. ვიცი, ვიცი. რა? მცენარეული ჩაი და ასპირინი? არა. შეწყვიტე, არაა საჭირო. ყურადღებით მისმინე. ეს გაციება არ არის. მწვავე ჩირქოვან ოტიტს ჰგავს. შესაძლოა, მენინგიტია. შეწყვიტე. არა. ახლავე გამოიძახე სასწრაფო...

დედა

(ფანჯრიდან ანუკის ოთახისკენ იჩქარის.)

დედიკო, მოვიდა, დედიკო. ხელი აქვს შეხვეული.

ანუკი

(ყურმილში.)

...დამშვიდდი. დამშვიდდი. სასწრაფოს დაურეკე. ახლავე. როცა მოვლენ, მაშინვე გადაეცი ჩემი დიაგნოზი. პენიცილინის ჯგუფის ანტიბიოტიკი დაუყოვნებლივ. დაუყოვნებლივ. და — სასწრაფო ჰოსპიტალიზაცია. გესმის? ჩემი ნომერი მიეცი, დამარეკონ. ხვალ დილას დამირეკე, მითხარი, სად დააწვენენ, მივალ. კი, სახლის. ახლავე დარეკე. ვთიშავ. დარეკე.

(ყურმილს გადადებს, თავის ოთახში გადის, ხელჩანთიდან ბლოკნოტს იღებს, გადაშლის, წერს, ბრუნდება, ყურმილს დებს. დედას.)

დე, დამაცადე ხოლმე პაციენტებთან საუბარი, ძალიან გთხოვ. ვინ მოვიდა?

დედა

ვინ მოვიდოდა?! შენი კავალერი. გადმოვიდა ცოტახნით, ჯოხი უჭირავს, კოჭლობს. არ განებებს თავს ესე იგი, რაღაცა ხათაბალაში გაეხვია. გრიშას უნდა ვკითხო ერთი — ის ხომ არაა... ბანდიტი ხომ არაა ან ნარკომანი. არა, ეგ არ იქნება, გრიშა ცუდს არ აგირჩევდა. არ ვიცი რა... რა... რა...

ანუკი

(ფანჯარასთან მიდის.)

კი, ხელი აქვს შეხვეული. ფეხს ვერ ვხედავ, მანქანაში ზის.

(გადაწყვეტით.)

ასე შეუძლებელია! ასე როგორ შეიძლება! ხომ ადამიანები ვართ, მხეცები ხომ არ ვართ!

(გასასვლელისკენ მიდის.)

დედა

რა ჩაიფიქრე, შვილო?! მოდი აქ, დამელაპარაკე ჯერ, გავიგო. როგორ იცი ხოლმე რომ გაჯიქდები... ორი სიტყვა მითხარი, ადამიანო...

ანუკი

დედა, აქ დამელოდე. ახლავე მოვალ. ნუ მელაპარაკები. მანდ გაჩერდი.

(გადის.)

დედა

(ფანჯარას მივარდება.)

დედა-დედა, ღმერთო, შენ მიშველე. უშველე ჩემს სულელ გოგოს. დედა-დედა...

(დედა კარებისკენ გარბის. შემოდიან ანუკი და თემური.)

ანუკი

(თემურის.)

ასე გაგრძელება შეუძლებელია, შემობრძანდით, დავილაპარაკოთ.

(თემური თავჩაქინდრული მოჰყვება.)

დედა

მობრძანდით, აგერ დაბრძანდით... აგერ. ანუკის მამას უყვარს აქ ჯდომა... პაციენტები ურეკავენ სულ ჩემს ანუკის, უყვართ ძალიან, ხელისგულზე ატარებენ... მუქთი ყავს იმდენი — როიალზე დასაკრავად არ სცალია. აგერ მობრძანდით...

ანუკი

(აწყვეტინებს.)

დედა, მარტო დაგვტოვე, თუ შეიძლება.

დედა

(გამშრალი.)

კი, შვილო. კონიაკი გამოიტანე...

ანუკი

დედა!...

(დედა გადის. ანუკის ჩაიდანი, ჭურჭელი და მურაბა მოაქვს.)

ანუკი

თემური, თქვენ ძალიან ღირსეული პიროვნება ბრძანდებით. მაპატიეთ, მაგრამ მე არ... მე არ... როგორ გითხრათ...

თემური

(თავჩაქინდრული.)

მესმის. სხვადასხვა ლიგაში ვართ.

ანუკი

სხვა რამის თქმა მინდოდა, მაგრამ... ასეთი პირობა მაქვს: მოდით, ვიმეგობროთ. შეუძლებელია მასე მანქანაში ყოველ საღამოს ჯდომა. ნაცვლად იმისა, წახვიდეთ, ბედნიერ იყოთ, იცოცხლოთ...

თემური

ეგრე ჯდომა მირჩევნია. ვერა ვთქვი... მეგობრობა მირჩევნია.

ანუკი

მოკლედ. თუ თქვენთვის მისაღებია — ვიმეგობროთ. პირობით. თქვენ ვალდებულებას აიღებთ, რომ...

თემური

არ გინდათ. არასდროს არაფერს გაგიბედავთ. ისეც ეგრე მინდოდა. სიტყვა.

ანუკი

აბა, დავიწყოთ მეგობრობა. წვნიანს გაჭმევთ, შემდეგ ვისაუბროთ.

(როიალს მიუჯდება და შუბერტის Auf dem Wasser zu singen-ს უკრავს.)

მოქმედება II. სცენა 8. 9 აპრილი

[სცენა ჩაბნელებულია.]

კალენდარზე: 1989, 9 აპრილი.

თემური, დემონსტრანტები (2), მილიციელი, დემონსტრანტები, ჯარისკაცები

(კალენდარზე მიმართული პროჟექტორი ინთება, მისი შუქი თანდათან ძლიერდება.)

ხმა მეგაფონიდან:

არ შეიძლება მშვიდობიან დემონსტრაციას ამდენი ჯარი შემოახვიო და ამდენი ტანკი შემოიყვანო — ეს სამარცხვინოა! არავითარი ჯარი, არავითარი არმია ამ თავისუფალი ნების გამოხატულებას წინ ვერ დაუდგება! ეს ტანკები — ეს სამარცხვინოა!

ჩვენი პროტესტი მშვიდობიანია! საბჭოთა რეჟიმის კონსტიტუციითაც კი, მშვიდობიანი პროტესტის ძალადობრივი ჩახშობა დანაშაულია!"

(ჩხუბის ხმა. წამოძახილები: "ოკუპანტებო!", "აქეთ!", "მიშველეთ, მიშველეთ!", "მე თქვენი დედები!...".)

(პროჟექტორი, რომელიც "ვეფხისტყაოსნიდან" ციტატებს ანათებდა და, ამ სცენაში, მანამდე ჩამქრალია, მკვეთრად ინთება, მეყსეულად გადაინაცვლებს ქვემოთ და ოდნავ მარჯვნივ, ანათებს, სცენის მარცხნივ, როგორ ჩხუბობენ თემური და დემონსტრანტები 1 და 2 მის გვერდიგვერდ. ჩხუბის ილეთები არ ჩანს, მაყურებელი ხედავს მხოლოდ მოჩხუბარ დემონსტრანტებს და ჯარისკაცების ფორმის და

აღჭურვილობის — ჩაფხუტები, მხარზე გადაკიდებული აირწინაღების ჩანთები, მესანგრის ნიჩბები — ფრაგმენტებს. გამონაკლისის სახით, ხანდახან გამოჩნდება ორთაბრძოლის სურათი. სცენის კიდესა და მოჩხუბრებს შორის რჩება ვიწრო გასასვლელი, რომლის დაკავებასაც ცდილობენ ჯარისკაცები. თემური მესანგრის ნიჩაბს გამოსტაცებს ჯარისკაცს, შუბლს ურტყამს, წააქცევს. ჯარისკაცებს შორის გაჩენილ ღიობში დემონსტრანტების მხარეს დემონსტრანტი ქალი გადმორბის, თემური სცენის კიდისკენ აცილებს, მაყურებელთა დარბაზში ჩასვლაში ეხმარებ, ქალი პარტერის რიგებს შორის გარბის მაყურებელთა დარბაზიდან გასასვლელისკენ. დემონსტრანტი 1 ხანდაზმულ მამაკაცს ეხმარება დარბაზში ჩასვლაში, მამაკაცი გაჭირვებით მიდის მაყურებელთა დარბაზიდან გასასვლელისკენ.)

დემონსტრანტი 1

(ქოშინით, სცენის კიდეს მომწყდარ ხანდაზმულებს და ახალგაზრდა ქალებს.)

ქაშუეთში ადგილი აღარ არის, ქვემოდან დაუარეთ.

(ჭარმაგ მამაკაცს.)

ძია, აქედან მოდი.

დემონსტრანტი 2

(ჩხუბს წყვეტს, დაიხევს, ქოშინებს, წარბიდან სისხლი მოსდის, ხელს მარცხნივ იშვერს.)

იქით როგორა გვაქვს საქმე?

(ჯარისკაცების მწკრივს გამოივლის და სინათლის შუქში შემოვა მილიციელი, წინაფრაგვერდზემოქცეულ ქუდს ხელით იჭერს — არ ჩამოუვარდეს; მეორე ხელით, მოლასლასე ქალიშვილს მოათრევს.)

დემონსტრანტი 1

(მილიციელს.)

მოდი, ძმაო. აქედან...

(დემონსტრანტები 1 და 2 მილიციელს ქალიშვილის სცენიდან დარბაზში გადასმაში ეშველებიან. ქალიშვილი დარბაზის გასასვლელისკენ გარბის.)

მილიციელი

(დემონსტრნტებს 1 და 2.)

გაიქეცით. გაზს უშვებენ.

(ჯარისკაცების ზოლის გავლით, უკან, სიბნელეში გარგიბს. ჯარისკაცები არ სცემენ, ატარებენ.)

დემონსტრანტი 1

(დემონსტრანტს 2 პასუხობს.)

...არის რა. რეგბისტები ჩხუბობენ, არ უშვებენ. ბიჭო, თექვსმეტი წლის გოგო მოკლეს, ბიჭო, ამ ახვრებმა! ერთი მოხუცი გულით დაიბრიდა თუ ამათ დაჩეხეს, ვერ გაიგებ.

(ყვირის.)

ვისაც ოფსილა გაქვთ — ქაშუეთისკენ დერეფანი გავაკეთოთ. ქალები ვერ გაგვყავს!!

(ყვირიან: "გაზი გაუშვეს!", "გაზი!! გაზი!!", "გაზი გაუშვეს, წადით, წადით!" "ქალები გაატარეთ!")

დემონსტრანტი 1

(თემურის, რომელიც, ამასობაში, სამს ეჩხუბება, იდაყვს, ქუსლს, თავს ურტყამს, მესაგრის ნიჩაბს გამოსტაცებს — სცენის პირთან ყრის დარბაზში, ახლა ნაცემ ყმაწვილს გამოსტაცებს ჯარისკაცებს, სცენის კიდემდე მოათრევს, დარბაზიდან დემონსტრანტთა

(აწვდილ ხელებს გადასცემს, კოჭლობს. ფრამგენტულად ჩანან ჯარისკაცები თავზე აირწინაღებით.)

ძმაო, უნდა დავიხიოთ, ალყაში გვაქცევენ.

(თემური არ პასუხობს, მიიხედ-მოიხედავს, ჯარისკაცების მწკრივის გადაღმა ხტება, ჯარისკაცები წრეს არტყამენ. დემონსტრანტები 1 და 2 წრეს არღვევენ, მათ პროჟექტორის შუქში შემომხტარი დემონსტრანტი 3 უერთდებათ, ჯარისკაცებით გარშემორტყმულ თემურის უერთდებიან, პროჯექტორით განათებული სივრცის გარეთ ჩხუბობენ. ზედახორაა.)

(დემონსტრანტი 2 ალყას არღვევს, ჯარისკაცებს იგერიებს, ყვრიმალდალურჯებულ, ცხვირიდან სისხლმდინარ ქალიშვილს მოათრევს, სცენიდან დარბაზში ჩამოსვამს; ქალიშვილს ცალი ფეხსაცმელი აცვია, ბარბაცებს, ხველა ახრჩობს, დემონსტრანტი 2 წყლიან ბოთლს გამოართმევს ერთ-ერთ დამონსტრანტს, ცხვირსახოცს ისველებს, ცხვირ-პირზ იკრავს, კვლავ გარბის განათებული სივრციდან, მოჩხუბრებს უერთდება.)

(სცენის უკანა მხრიდან ისმის ტანკის ჩავლის ხმა, ხანდახან ჩანს სცენის მარცხნიდან მარჯვნივ მოძრავი ტანკის წინა ორი ფარის შუქი.)

(ხმაური ინავლება, სცენა ბნელდება.)

[სცენა ნელა ნათდებ. უკანა პლანზე — მთავრობის სახლი (დღევანდელი პარლამენტი) , მის წინ — ქანდაკებები "მუშა და კოლმეურნე ქალი", "მუშა" — ურითი, "კოლმეურნე" — ნამგლით. ყრია: ბაღის სკამებიდან ამოტეხილი ლარტყები, ჩხუბში გამოსადეგ ზომაზე გადამტვრეული ხის ტოტები, ტრანსპარანტების ნაგლეჯები სიტყვების, ფრაზების ნაწილებით

"თავისუფლება", "...რცხვილი საბჭოთა რეჟიმს!", წაქცეული სანაგვე, ლაბადა, ხელჩანთა, ქუდები, ფეხსაცმელები. ქალიშვილის უმოძრაო სხეული. დარბაზისკენ თავით, სცენის კიდიდან გადმოკიდებული, პირაღმა გაშოტილი უმოძრაო თემური.]

მოქმედება II. სცენა 9. 10 აპრილი

[საავადმყოფოს 6-ადგილიანი პალატა. კედლებზე — წარწერები: " За курение — изъятие костылей до конца пребывания в стационаре!", "Внимание! Кормление пациентов в холле строго запрещено!", პლაკატები ფაღარათის პროფილაქტიკისთვის ხელების ბანაზე.]

კალენდარზე: 1989, 10 აპრილი.

თემური, ექიმი 1, პაციენტი, პაციენტები, ანუკი, სანიტარი

(საკაცით შემოჰყავთ თემური, საწოლზე გადააწვენენ.)

პაციენტი

(ექიმს.)

ვინაა, რუსთაველიდან?!

ექიმი 1

კარგი, რა, სოლიკო, შენღა მაკლიხარ. არა ეხლა ბულგარეთიდან იქნება. თქვენთან ვაწვენ, გადავსებულია ყველა პალატა.

პაციენტი

მოწამლულია თუ ნაცემია?

ექიმი 1

ორივე. მორგში მიიტანეს ჯერ. საგიჟეთია დღეს, რა.

პაციენტი

ოჯახში უნდა დარეკვა, ინერვიულებენ.

ექიმი 1

კარგი, რა, სოლიკო, შემეშვი. საბუთები აღმოაჩნდა, რეგისტრატურაში დავუტოვე, ანკეტას გახსნიან. შენღა მაკლიხარ.

(მკვეთრად შებრუნდება თემურისკენ, რომელიც გონზე მოდის.)

ძმაო, ეგრე, რა. როგორ გვანერვიულე. არ დაიძინო, არ დაიძინო, შემხედე, მე მიყურე. აქეთ მიყურე. როგორ არის საქმე?

თემური

ნორმაზეა. მადლობა ყველაფერზე.

ექიმი 1

შენ უნდა თქვს, რა, ძმაო, ბედი მაქვსო. მაგრად გაგიმართლა. არ დაიძინო. ე! ე! მე მიყურე, მელაპარაკე. რა გქვია, ძმაო? ტელეფონის ნომერი მითხარი, შენებს დავურეკავთ. რას ანერვიულებ.

თემური

ნორმაზე ვარ. ეგ არ გინდა.

პაციენტი

ოჯახი არ გყავს? დაურეკავენ აგენი.

თემური

ყველაფერი ნორმაზეა, ძმა.

(ექიმი 1 გადის. შემოდიან სანიტარი და ანუკი.)

სანიტარი

(ანუკის თემურიზე უთითებს)

ეგე, იქ.

(გადის.)

ანუკი

(თემურის.)

ბიჭო, გეთქვა მაინც. მორიგე ვიყავი. ჩვენთანაც ბედლამია, მაგრამ მცოდნოდა მაინც. შემეშინდა. როგორ ხარ?

თემური

რავი, არ აკლდა და. ანიგდოტი ხო იცი — 20 წელი ხმას რო არ იღებდა, მერე თქვა: "ლობიოს მარილი აკლია". "რატო არ ამბობდი?!" "არ აკლდა და".

ანუკი

ლობიო კი არა. რატომ არ დამირეკე?!

თემური

ჰო, კაი, აჰა. ბოდიში, რა, მართლა. მაპატიე, დამავიწყდა. ხან ისა, ხან ესა. გუშინაც ხორაგი ვერ ამოგიტანე...

პაციენტი

მორგიდან როგორ დაგირეკავდა, ქალბატონო?! ტელეფონი ცუდად მუშაობს ბოლო დროს იქედან.

(პაციენტები ხარხარებენ.)

ანუკი

მასე რატომ ხუმრობთ?!

პაციენტი

რას ვხუმრობ, ქალბატონო, მკვდარი ეგონათ, მორგში მიასვენეს, მერე გამოუყენეს აქეთ გზას. მოწამლულია მაგარი, მთელი ექიმები ზედ ესია, ოცი წუთია, რაც მოაბრუნეს მიქელ-გაბრიელიდან!

(ანუკი თემურის ხელს იღებს. თემური ხელს გამოითავისუფლებს.)

ანუკი

შენ ხომ არ მოისვენებდი, წინ შეძვრებოდი.

თემური

რა წინ. "ცისფერ გალერეასთან" ვიდექი ჩემთვის სკუჩნად. ჯარი რო წამოვიდა — რო დავგაზე, ახმეტელის მეტროსთან დავატორმუზე. წითელი იყო და, მეთქი, — მანქანითა ვარ.

პაციენტი

მაგარი სირბილი გცოდნია, ძმა.

(პაციენტები იცინიან.)

ანუკი

იდექი, იდექი შენთვის და ახლა ნაკერები გადევს. მორიგე ექიმმა მითხრა მიმღებში. მხარი მიჩვენე, ვნახავ, როგორ გადაგიხვიეს.

თემური

გაფხაჭნილია, რა უნდა გაჩვენო.

ანუკი

ნუ მებურტყუნები, მიჩვენე! თვითონ ვნახავ გაფხაჭნილია თუ გაკაწრული.

თემური

არა-მეთქი. შენ, კაროჩე, სოკრატეს ფიცი ხო დადებული გაქ, რას მანერვიულებ. შეიძლება, გულზე დამარტყას და — ჰობა! რეანიმაცია, ასტიგმატიზმური შეტევა, რენტგენი, რევმატიზმი, რამე... უნდა ისე მომექცე რა...

ანუკი

...სათუთად.

თემური

ვაბშჩე.

ანუკი

დებილო. საჭმელს მოგიტან საღამოს. რა გაგიკეთო? წვნიანი გინდა?

თემური

წვნიანი არა — მიქოიანი.

(ხელს იშვერს კედელზე წარწერისკენ "Внимание! Кормление пациентов в холле строго запрещено!")

ვერა ხედავ, პარტიამ — არაფერი არ აჭამოთო თემურასო, მაგ ჩმორსო. თორე ყურებს დაგაჭრითო. ანი, ვანგლობ, რა, არაფერი არ გინდა, მადლობა. მიდი, დაიძინე, ნამორიგევები ხარ, ღამე გაქ გატეხილი.

ანუკი

(თემურის ხელს იღებს. თემური ხელს გამოითავისუფლებს)

წყალს მოგიტან ახლა, პატარ-პატარა ყლუპებით სვი ხშირ-ხშირად. ყავა არ დალიო.

თემური

ვა-ა, ეგ რა მითხარი! აქ სულ მთავარი ექიმი დარბის, ყავას არიგებს...

(პაციენტები იცინიან.)

...ხო არ გინდათ, ბიჭებო, ვინმესო.

ანუკი

(ყველას.)

ვინც მოწამლულია რუსთაველზე. შავი ჩაი, სუსტი, წყალწყალა. მოწამვლაზე კარგია. ზუსტად არ ვიცით, რა გაზია, მალავენ და ვერ ვმკურნალობთ, ლეტალური შედეგია ბევრი. სხვებსაც უთხარით, მოწამლულებს.

(თემურის.)

საღამოს მოვალ, ბოსტნეულის წვნიანს მოგიტან. და გვირილას ნაყენს დავაყენებ, დაგალევინებ. ერთი არ დაგილევია.

მოქმედება II. სცენა 10. ილიკოს სტუმრობა

[ანუკის ბინა.]

კალენდარზე: 24 მაისი, 1990.

ანუკი, დედა, ილიკო, თემური

(სადარბაზოს კიბის ბაქანზე ილიკო შემოდის, კარზე რეკავს. შესამჩნევად მოტეხილია. დედა კარს უღებს.)

ილიკო

გამარჯობათ, ლილი დეიდა.

დედა

ვინ... უი, ილიკო, შენ ხარ?! უი, უი, შვილო, როგორი შეცვლილი ხარ. როგორ ხარ, ჩემი ბიჭი? როგორ დაიკარგე სულ. შე ჭინკა, შენ.

ილიკო

აქ არ ვიყავი, ლილი დეიდა. ხომ ჯანმრთელად ბრძანდებით თქვენ და სერგო ბიძია?

ანუკი

(სასტუმრო ოთახიდან ყვირის.)

დედა, ვინ არის, თემურია?

დედა

ილიკოა, სიხარულო! შედი, ილიკო, შვილო, გაუხარდება ძალიან. თორემ მთლად მონაზონივით ჩაიკეტა.

(ილიკო სასტუმრო ოთახში შედის, ანუკი თავისი ოთახიდან გამორბის, ილიკოს კისერზე ხელებს შემოაჭდობს, ეხუტება.)

ანუკი

ილი-ი! როდის გამოხვედი?

ილიკო

რამდენიმე თვეა. სანამ ჩამოვიდოდი... ჩერეზ-ჩერეზ მოვდიოდი.

ანუკი

მოდი. გაჭმევ, რა გინდა, მითხარი.

ილიკო

ანი, არა, მეჩქარება. რაღაცაზე მოვედი. დღეს, ხო იცი, თონიკას წლისთავია, რვა წელია. კაროჩე, მაშინ მთხოვა შენზე: პირადად ნახე, სთხოვე, სანთელი დამინთოს, მაგის თხოვნა მივაო. იზამ?! პროსტა გეხვეწები, რა. რამდენი წელი გავიდა.

ანუკი

სიონში დავუნთებ.

ილიკო

ანი... ისა... მისმინე... მეც დამინთე, რა. შენი დანთებული სხვაა, შენ აქედან არა ხარ...

ანუკი

გაჩერდი, ნუ ამბობ მასე... ჩემზე. ილი, ახლა მითხარი — ავად ხარ? ვენები რომ მიჩვენო — ვიცი, რასაც დავინახავ. რატომ იკლავ თავს, ილი?!

ილიკო

მისმინე. ხალხი ლაპარაკობს — მაგრა გალამაზდაო. ზედ გესევიან. ბედი ნახე.

ანუკი

არ მინდა. თუ ვინმე შემიყვარდა, მხოლოდ მაშინ. შენ აუცილებლად მეჯვარე იქნები. ხომ იქნები?

(იცინის.)

ილიკო

სტოპრაცენტნად. სადაც გინდა, ვეგდო, გავანგრევ, წამოვალ. ანი... კაროჩე... ხო იცი, თუ ვინმე შეგაწუხებს, მითხარი. თუ არ ვიქნები — ბიჭებს უთხარი ჩემი სახელით. რამე არც იფიქროს ვინმე ახვარმა...

(კიბის ბაქანზე თემური შემოდის, კარზე რეკავს. დედა კარს უღებს.)

დედა

მობრძანდი, თემური. მეგობარი ყავს ჩემს სიხარულს, ძალიან ახლობელია, ტრუსიკებიდან ერთად არიან. მობრძანდი, სასტუმროში მუსაიფობენ.

თემური

არა, წავალ, ქალბატონო ლილი, მერე შემოვივლი.

ანუკი

დე, ვინა არის?

დედა

თემურია, დედიკო. არ შემოდის, წავალო.

ანუკი

შემოვიდეს. აუცილებლად. ძალიან ვთხოვ. საქმე მაქვს.

(წამოხტება, თემურის შესაგებებლად გარბის.)

თემური

(სასტუმრო ოთახში შედის.)

გამარჯობათ.

ანუკი

(თემურის ილიკოზე უთითებს.)

ჩემი ახლობელია. ძმად ვთვლი. ილი, თემური ჩემი... ძალიან ახლობელია.

ილიკო

ილიკო, ძმა, ჩემი სახელი. ილო. ანი, უნდა წავიდე, საქმეები, ხომ იცი.

ანუკი

ილი, დარჩი, რა. გაჭმევ, ვილაპარაკოთ.

ილიკო

ძაან ბოდიშს გიხდით. მაპატიეთ.

(შეყოვნდება.)

შენც, ძმაო. გხედავ, ვინცა ხარ. გაუფრთხილდი ამას. წავედი.

ანუკი

ილი, რაც შენ მითხარი, გავაკეთებ. შენზეც სულ ვიფიქრებ. რომ კარგად იყო.

(ილიკო თემურის ხელს ართმევს. ანუკი ილიკოს ეხუტება, ილიკო ლოყაზე ჰკოცნის, გადის.)

ილიკო

(წინკარიდან.)

ლილი დეიდა, გავიქეცი, გამოგივლით მერე... (ჩუმად) თუ ბედია.

დედა

უი, უი, შვილო, წახვედი?! გაკოცო. მოდი. ჭინკა შენ.

(დედა და ილიკო ერთმანეთს გადაჰკოცნიან. ილიკო მიდის.)

ანუკი

ვინც სკოლაში მიყვარდა, იმის უახლოესი მეგობარი იყო.

თემური

ვინც გიყვარდა, რა იქნა? არ გინდა, არ მითხრა. შემეშალა. ბოდიში.

ანუკი

მოკლეს. შუა აზიაში.

თემური

აღარ მომიყვე. არ გესიამოვნება. წავედი.

ანუკი

მესიამოვნება. მინდა, რომ იცოდე. თონიკა გაგიგია? ის იყო. კარგიც აქვთ გულში. სასტიკები არიან. კინაღამ მივთხოვდი. მერე დავინახე... როგორ სამყაროში ცხოვრობენ. ერთი ბიჭი თავს მაწონებდა. უწყინარი, სათუთი. თორნიკემ ისე სცემა, ისე სცემა... მე გამოუცდელი ვიყავი, დავიბენი, ვერ გადავეფარე... ჩემი ბრალია. ჯერ ძირს დააგდო, მერე ურტყამდა, ურტყამდა, ურტყამდა... კბილი ჩაუტეხა... მაინც ურტყამდა... ფეხებს ურტყამდა. რას გაჩუმებულხარ?! კაი, წამოდი, გაჭამო, შენ ხომ ხმას ვერ ამოგაღებინებს ადამიანი. დედი, თემურის ვაჭამოთ გვაქვს რამე?

დედა

(სამზარეულოდან ყვირის.)

ოცი წუთი დამაცადეთ, სიყვარულო.

ანუკი

(თემურის.)

რაღაცა უნდა გთხოვო.

(იცინის.)

როგორ გაისუსა. ნუ გეშინია, ფულს არ გესესხები.

თემური

ვა-ა, გულზე მომეშვა.

ანუკი

ქვემოთ მანქანა დგას. როგორ დავიწყო... ერთმა ადამიანმა შემაღონა. საბაბი არ მიმიცია. მირეკავს, ქუჩაში მხვდება. ილიკოსთვის რომ მეთქვა... ცუდად დამთავდებოდა მაგ ბიჭისთვის, შემეშინდა.

თემური

რა მინდაო?

ანუკი

პირდაპირ არ მემუქრება. მიმახვედრა, რომ რაღაც... ცუდი გეგმა აქვს. იქ გნახავ, "სადაც საჭიროა"-ო... "საჭირო დროს"...

თემური

(ფანჯრიდან დაბლა იყურება.)

ტიპს რა ჰქვია?

ანუკი

რეზო. ოღონდ ნაბეგვი არ მოხვიდე, ჭკუით ქენი. ლაპარაკით ყველაფრის მიღწევა შეიძლება, მუშტებზე ნუ იყურები.

თემური

კანეშნა. დაველაპარაკები. ძიძგილაობას ხო არ დავუწყებ. ვთხოვ, გაიგებენ. გაუგებარი ვინაა. ჯანუმ, ყველაფერი ნორმაზე იქნება.

ანუკი

სამეგობროა, ბევრნი. უსირცხვილოები ჩანან. შენ მარტო ხარ. უთხარი, რომ ჩემი საქმრო ხარ, სადაც მეტყვი, იქ მოვალ მოწმედ. თორემ გეტყვიან — რა შენი საქმეაო.

თემური

შენ, კაროჩე, მაგარი შებერტყილი ხარ რაზბორკებში. მასწავლე ეხლა.

ანუკი

რას მიედ-მოედები?! იტყვი თუ არ იტყვი?!

თემური

არა, კანეშნა. მაგას როგორ გაკადრებ. ვიღაც აცვენილების ბლატაობაზე მაგათ დონეზე დაეშვა.

ანუკი

სად დავეშვა, რა "დონეზე". არაფერი მოგწიონ. თქვი.

თემური

ეგ რო ვქნა, ვიღაცა მოგეწონოს მერე — უნდა კრუგები ურტყა, აუხსნა, რო ტყუილი იყო. იმანაც უნდა იფიქროს: ვა-ა, იქნება, მართლა საქმარო ჰყავდა.

ანუკი

(იცინის.)

რომელ საუკუნეში ცხოვრობ?! ასი წელი არ მენაღვლება.

თემური

ზატო მე მენაღვლება. გაათავე, ქალო, ვსიო, კაროჩე. ეხლა მისმინე. ქვემოთ ჩამომყევი, რასაც გთხოვ, გააკეთე. იმ ტიპებთან მიმიყვანე.

ანუკი

გამოჩნდა სექსისტური ბუნება.

თემური

ჰა?

ანუკი

კაი, წამოდი, მერე დაგარიგებ ჭკუას.

(გვერდზე, სასოწარკვეთილ კილოზე.)

მიშველე... გადამირჩინე.

მოქმედება II. სცენა 11. "ლიმონკა"

[ანუკის სახლის ეზო. სცენის საპირისპირო ბოლოებში ორი მანქანა დგას: თემურის "ჟიგული-07" — ექსტერიერი ჩანს მხოლოდ; და ანუკის შემაწუხებლის მანქანა — გრძივ ჭრილში.]

ანუკი, თემური, რეზო, რეზოს მეგობრები (2)

(რეზოს მანქანაში რეზო, რეზოს მეგობრები 1 და 2 სხედან. ანუკი და თემური სადარბაზოდან გამოდიან, თემური თავისი მანქანიდან

რაღაცას იღებს, ანუკი მიჰყავს რეზოს მანქანასთან, უკანა კარს აღებს.)

თემური

(მანქანაში მსხდომთ.)

გაუმარჯოს.

(ანუკის.)

ანა, გინდა, რომ ეს ხალხი გირეკავდეს, გაკითხავდეს, გარეთ გელოდებოდეს?

ანუკი

ვთხოვ, თავი დამანებონ. არანაირი საბაბი არ მიმიცია.

თემური

კარგი, სახლში ადი რა, ძალიან გთხოვ, გეხვეწები. ამ ხალხს დაველაპარაკები, ვთხოვ, გაიგებენ, ნორმალური ხალხია. შევეხვეწები.

(მანქანაში ჯდება.)

(ანუკი მიდის.)

მე თემური ვარ. ანამ მთხოვა, რო დავალაგოთ. დავაი, დავალაგოთ. ხოშიანად ვიქნებით ყველა.

მეგობარი 1

შენ რა გინდა?

თემური

გითხრა ანამ, რაც უნდა.

მეგობარი 1

(თემურის დანას ადებს.)

მიდი, დაალაგე. დროცა გვაქვს, დილიხორიც. თუ დალაგდა — გადადი, აღარ დაგინახო მეორედ.

(თემური ჯიბიდან ხელყუმბარას იღებს, ქინძისთავს აძრობს.)

რეზო

(ხელყუმბარას ვერ ხედავს. მძღოლის სავარძლიდან, თემურისკენ პირმიქცეული.)

ბიჭო, შე პაცანა, რო მოდიხარ ეგრე, ჩემ მანქანაში დაუპატიჟებლად ჯდები, შენ ვინ ჩემი...

მეგობარი 2

(აწყვეტინებს.)

ე! ე! ე! "ლიმონკა" აქ დაბღუჯული, "კალიცო" გამოაძრო!!

თემური

კაროჩე, თქვენ ნაწლავებს დაინახავთ მანქანის აბივკაზე. გინდა სამი იყავით, გინდა ოცდასამი.

(მეგობარს 1 თავისუფალი ხელით დანას ართმევს, ათვალიერებს.)

კაი ყამაა... შენ, კაროჩე, შეგაჭმევ ამას ეხლა. ეხლა მისმინეთ. რო დაგინახოთ კიდე და ბლატაობა დაიწყოთ, ან ერთად გიპოვით, ან დაგივლით და თქვენ ნასკებს შეგაჭმევთ. თუ კაცური არ გესმით, თქვენ რო გესმით, იმას გიზამთ. ნახევარ ცხოვრებას წავიღებ. ეხლა მისმინე. გაიგე, რა გითხარი?! ქალს რო კაჩაობას დაუწყებ, შენ, კაროჩე, კაცი კი არა, რა ხარ. ცხოვრებაში თუ აღარ შემხვდებით არცერთი, მაინც კიდე ვიფიქრებ, რო მართლა ადამიანური შეცდომა მოგივიდათ. თუ დაგინახეთ — ბოლომდე წამოვალ, დაგივლით, ან მე დავრჩები, ან თქვენ. დავაი, აბა, ჯანზე ყოფნა. თუ რამეა — მომძებნეთ. ან მე მოგძებნით.

(თემური ხელყუმბარიან ხელს შარვლის ჯიბეში იდებს, მანქანიდან გამოდის, მანქანის კარს ძლიერ იჯახუნებს, თავის მანქანაში ჯდება.)

მეგობარი 1

(რეზოს.)

რა ვიცი, ჩემი ძმა, შენი გადასაწყვეტია. მაგრამ — ეს ვაბშე გიჟია, გამკეთებელი იყო, თვალები ნახე?! სულელია საშიში, თორე ჭკვიანთან მოყომარდება, ტო...

თან — გავპაზორდებით თუ კიდე მივაწექით. ქალი მოიყვანა, იმას ათქმევინა. რაზე მიაწვები. ბესპრეძელზე მოგვთოვენ. მე — პას, ძმაო.

რეზო

მაგის დედაც... ქალია, ტო, მეტი ხო არაფერი. შანსი არა მაქ, თორე... პროსტა ცოტახანი გავაფრინე. მაგ გოიმის ლიმონკის ვის ეშინია, შევტენი უკან...

მეგობარი 2

დავაი, დავიძრათ აქედან, წადი ეხლა.

(რეზოს მანქანა სცენიდან მიგორავს.)

(თემური თავისი მანქანიდან გადმოდის, პიჯაკის ჯიბიდან წართმეული დანის ტარი უჩანს. სცენაზე ილიკო შემოდის, თემურისკენ მიდის. ანუკის სადარბსზოსთან ხვდებიან.)

ილიკო

გიყურებდი, ძმა. რო რამე გაგჭირვებოდა. ჩიტმა ამბავი მომიტანა. მაგაზეც მოვედი ანისთან. მაგათ ნაკერავზე ავხევდი. ანის ხათრით არ ვერევი, ვიცი, რო არ ესიამოვნება. ეგ, ხო იცი, სხვანაირია, ვაფშჩე სხვაა. ბოდიში, რო გეუბნები — ეგენი, ხო იცი, ჭრელები არიან, არც შავი, არც წითელი... ეგ ბებუთი რო აართვი, ზედ არ დაიტოვო, ძაღლები არ დაგაყენონ. ბოდიში, რო გეუბნები. იმ პონტში გეუბნები — შუტკა გავხსნათ, თემო, ძმაო, ბრატები ვიყოთ. მოსულა?

თემური

მოსულა, ილო.

ილიკო

ცირიზი მაქვს, ბრატ. დეკომპენსირებული ცირიზი.

თემური

კაია, რო მითხარი, მადლობა. თუ ძმობაა — ძმობაა.

ილიკო

ეგრეა. მაგიტომ გეუბნები. კაცს ჰგონია, რომ ბევრი დრო აქვს, ფანტავს რაღაც უაზრო რაღაცეებზე. შენ ხო თქმა არ გინდა, ხო მხედავ, როგორ ვიცხოვრე.

ძველბიჭურად გავიარე. ჯერ ძმაკაცს ეშველები. მერე კითხულობ — დედაშენი ცოცხალია თუ კვდება. ძმაკაცებზე არ მიღალატია.

თემური

ძმაკაცებზე — ბაზარი არ არის. სხვა — გიღირდა?

ილიკო

კარტი ეგრე დაწვა, ძმაო. თონი ხო იცი, თონიკა, ანის პირველი სიყვარული, მოყოლილი ექნება?! პატარები ვიყავით, ის მოგვწონდა რა — "ეგენი ისე შეგჭამენ, ძვლებს არ გადმოაფურთხებენ", ეგეთი. ზადნი ხოდს არ ვაძლევდით. თონის ქურდი შემოელახა, მერე სხვა გზა აღარ იყო, შავს უნდა მივწოლოდით. დანარჩენი... ხო იცი. მაგას ჯობდა, სკოლაში მასწავლებლად წავსულიყავით. ბრადიაგობაზე გავანიავეთ მთელი ისა... რაც ჯანი მოგვცა იმან...

(თითს ზემოთ იშვერს.)

...და ღონე. ძაღლებისგან სირბილი, "ფუქსა", "კაჩელები"... კაროჩე, მაგას ცხოვრება როგორ უნდა გადააყოლო.

თემური

ილო, იქნება, რამე ვქნათ, ფული არი, ყველაფერი არი. დავაი, იქნება, დაწვე.

ილიკო

ეგ დაგვიანდა, ბრატ. ერთი წელი დამრჩა... ჰა — ორი. კაროჩე, ანის ვხედავ, როგორ უყურებ...

თემური

მეტყობა?! ტყავიდან ვძვრები, რო ვითომ არაფერი, ვითომ მეგობრობის პონტში ვარ...

ილიკო

არ ეუბნები?

თემური

სიტყვა ვთქვი. სანამ მეგობრობა მითხა. არ გამოვიხედები-მეთქი. მაგის შეწუხებას — ხელს მოვიჭრი ბრიტვით. ეგ ჩემთვის ყველაფერია. როგორ, იცი?! ეგ რო არ ყოფილიყო... "მშენებელი" ვიქნებოდი, რა. ბინები, ფულები, ბანძები, ჩემ თავზე სულ ისა, რა... რო კარგად ვიყო, რო ყველაფერი აჟურში მქონდეს. მაგან ამომწია. რო უყურებ — გინდა, რო... რო ნაგავი არ იყო, რო ცოტა რამე... რო

სხვანაირადაა საქმე... რო სხვანაირად... იყო. ეხლა ჩემი თავი სულ ფეხზე მკიდია. რამდენი რაღაც ხდება და დაჯექი ეხლა და იფიქრე რო — ვა-ა, მე რა საწყალი ვარ, ეს მინდა, ის მინდა... ამ დროს ვიღაცა იბრიდება იმიტო, რო პურის ფული არა აქვს შვილებს... ნუ, კაროჩე.

ილიკო

გავიგე, ძმაო. შენ ისედაც ცეცხლში იწვები და მე ამ დროს ცეცხლზე ნავთს გასხამ, ვბლატაობ.

თემური

ილო, თუ აქეთ იქნები, გამოიარე, ჩემთან დავსხდეთ, ცოტა ვჭამოთ, ვილაპარაკოთ. ანამ იცის ჩემი ტელეფონები.

ილიკო

კაი, ბრატ. მოგისმინე. შენც მადლობა, რომ მომისმინე. მაგარი გამიხარდა, რომ გაგიცანი. და — ანის გვერდით რო დგახარ. ცხოვრება ეგეთი ყოფილა. ჯერ არა ვფიქრობთ. მერე გვიანაა.

(გადაეხვევიან. ილიკო მიდის, თემური ანუკის სადარბაზოში შედის.)

მოქმედება II. სცენა 12. "ლიმონკის" შემდეგ

[ანუკის ბინა.]

ანუკი, თემური, დედა

(ანუკი ფანჯრიდან იყურება, მირბის, თემურის ეგებება.)

ანუკი

რა ქენი? ილიკოს რა უნდოდა? დამეგობრდით?

თემური

ყველაფერი ნორმაზეა, ჯანუმ, წავიდნენ. ილიკო ძმაა, მართლა უყვარხარ.

ანუკი

იმათ რა უთხარი?

თემური

ვთხოვე, რო არ უნდა ანას და დაანებეთ თავი-მეთქი. გაიგეს, ნორმალური ხალხია.

(თვალს არ აცილებს თემურის. პაუზა.)

ანუკი

მატყუებ, როგორც ყოველთვის. ყურებიც მატყუარასი გაქვს.

(თვალს არ აცილებს თემურის. პაუზა.)

...ჩემი პიგმალიონი ხარ.

თემური

ვინა?

ანუკი

შენ შემქმენი.

თემური

(გაკვირვებით)

კანეშნა. ჩემნაირმა ქინძმა ჩემი ჭუჭყიანი თითებით. შენნაირი. კანეშნა.

ანტრაქტი 15 წუთი

მოქმედება II. (გაგრძელება). სცენა 13. ბაკურიანი

[პანსიონატის ნომერი ბაკურიანში.]

კალენდარზე: 14 იანვარი,1991.

ანუკი, თემური, ტატო

(ანუკი, დათოვლილი სამოსით, ნომერში შემოსვლამდე, დერეფანში სათხილამურო ფეხაცმლიდან თოვლს იბერტყავს, შემოდის, თხილამურებს აყუდებს კედელზე. კარზე აკაკუნებენ.)

ანუკი

მობრძანდით.

(შემოდის თემური.)

მოხვედი?

თემური

შენ, კაროჩე, ტვინზე მაგრად გიხდება ბაკურიანი. სუფთა ჰაერი, თხილამური, რამე. რო დამინახე — ეგრევე გამშიფრე რო მოვედი.

ანუკი

ნუ იღრიჭები. მოდი. ხვალ გელოდი. კიდევ სრიალს ვაპირებდი. ჩაის გაგიკეთებ.

(კარზე აკაკუნებენ, ანუკი აღებს. დერეფანში ტატო დგას.)

ტატო

ანი, სასუსნაოდ მივდივართ, ხომ არ წამოხვიდოდი? აჭარული ხაჭაპურები შევუკვეთეთ, "ადესა" აქვს რომკას.

ანუკი

არა, მადლობა, ტატო. თქვენ წადით. მე თბილისში მივდივარ. აი, მეგობარმა ამომაკითხა, გაიცანი — თემური.

ტატო

გამარჯობათ, ბატონო თემური.

თემური

გამარჯობათ. მე ბოდიშს მოგიხდით, წავალ.

(გასვლას აპირებს.)

ანა, ხვალ ამოვალ, მანქანა ბორჯომში დავტოვე, "კუკუშკის" ბილეთებს ავიღებ. ბარგი ხომ არ წავიღო ეხლა?

ანუკი

მოიცა, სად მიდიხარ?! უცხოსავით რატომ მელაპარაკები?! თითქოს შენი უფროსი ვიყო... რა დაგემართა?!

ტატო

კარგი, ანი, სასიამოვნო იყო შენი გაცნობა. იმედია, თბილისში გადავიკვეთებით.

ანუკი

შესაძლებელია, ტატო. გემრიელ "აჭარულებს" გისურვებთ.

(კარს ხურავს.)

თემური

მისმინე. სასტუმროში შევალ სადმე, ხვალ გამოგივლი და დავეშვათ თბილისში. "აჭარული", "ადესა", ძველი ახალი წელი, რამე. ისრიალე, რას გამორბიხარ.

ანუკი

შენც თუ წამოხვალ, წავიდეთ. "აჭარული", "ადესა", ძველი ახალი წელი, "რამე".

თემური

ეგ არ გამოვა.

ანუკი

კარგი. მაშინ შენ დამპატიჟე და დავრჩები ხვალამდე. არ მპატიჟებ?! იქნებ, მშია.

თემური

ხო აზრზე ვარ, აქ როგორ გიყურებს ვინც კაცია. ეგ ტატო ნახე, როგორ გიყურებდა?! ერთი თითი ასწიე და, რესტორანში კი არა — ექსკავატორს გიყიდის.

ანუკი

ბიჭო, შე ჯიუტო, ექსკავატორი რად მინდა, წამოდი, ერთად ვჭამოთ სადმე. ერთად დავსხდეთ. ყველგან მიგყავარ, არასოდეს სტუმრად არ მომყვები. სადაც საზოგადოებაა.

თემური

საზოგადოება-მაზოგადოება. კაროჩე, აქ სადმე სასტუმროში შევალ, ხვალ მოგაკითხავ. დღეს წადი, ხალხში გაერიე. წეღან გნახე, რო გაცილებდნენ, როგორ გიყურებენ, ვინც კაცია. დორბლი გასდიოდათ.

ანუკი

მოვდივარ, წავიდეთ თბილისში, აღარ მინდა აქ. შარვალს გამოვიცვლი.

თემური

გარეთ ვიქნები.

ანუკი

იყავი. მიბრუნდი.

(სამოსს გამოიცვლის.)

გამოვიცვალე, მობრუნდი.

თემური

(ბრუნდება, თვალს ვერ სწყვეტს ანუკის)

ვახ!

ანუკი

რა "ვახ!"?

თემური

სადა?! კაროჩე, წავედით თუ დარჩები? დარჩი, რას მორბიხარ, ჰაერია, კაი ხალხი, რამე...

ანუკი

კი, "აჭარული", "ადესა", ძველი ახალი წელი. წავედით. გადავიხდი ახლავე და წავიდეთ.

თემური

გადავიხადე, ჯანუმ. ტყუილად ხო არ ვიჯდები.

(ჩანთას ართმევს.)

ანუკი

(ჯიქურ უცქერს)

მე წამოვიღებ.

თემური

ჭკუით იყავი.

(ჩანთას ართმევს.)

(გადიან.)

მოქმედება II. სცენა 14. "კუკუშკა"

["კუკუშკა" მატარებლის ვაგონის ინტერიერი.]

ანუკი, თემური, ტოპოგრაფი, კოლია დერგაჩევი, ხულიგნები (5); მგზავრები (ზოგი — თხილამურებით), მილიციელები, სასწრაფოს ექიმები

(შემოდიან ანუკი და თემური, სხდებიან. შემორბის ხელსაწყოებით დატვირთული ტოპოგრაფი, ხელსაწყოებს იატაკზე აწყობს, ვაგონიდან გარბის, კვლავ ხელსაწყოებით დატვირთული ბრუნდება, ხელსაწყოებს ტოვებს, ვაგონიდან კვლავ გარბის.)

თემური

(დგება, ანუკის.)

მოვალ.

(თემური ტოპოგრაფს ხელსაწყოების შემოზიდვაში ეხმარება. შემოდიან ხულიგნები, თემურის და ტოპოგრაფს გზას უხერგავენ.)

ხულიგანი 1

(ტოპოგრაფს.)

ვა-ა, იუზგარ, მაგარი დახუნძლული ვინმე ჩანხარ. რამდენს გიხდიან?

ტოპოგრაფი

ბოდიში, გავივლი, გთხოვთ. ვერ ვასწრებ, გადის მატარებელი, გარეთ დამრჩება აპარატურა, მარტო ვარ.

(ისმის მატარებლის საყვირის ხმა. მატარებელი იძვრის. თემური ხულიგანს გასწევს, ვაგონიდან ხტება, ტოპოგრაფი მისდევს; ხელსაწყოებით დატვირთულნი, დაძრულ მატარებელში ამოხტომას ასწრებენ.)

თემური

(ტოპოგრაფს.)

ყველა აიღე თუ დაგრჩა რამე?

ტოპოგრაფი:

მოვასწარი თქვენი წყალობით. დიდი მადლობა, ძალიან დამეხმარეთ.

(თემური ტოპოგრაფს აპარატურის დაწყობაში ეხმარება, ანუკისთან ბრუნდება. ანუკი სენდვიჩს აწვდის — თემური, უარის ნიშნად, თავს აქნევს.)

ხულიგანი 1

(მგზავრებს.)

ვა-ა. თქვე...

(ტოპოგრაფს.)

ისა, ბრატ, ეგ რა ხარახურაა? კუკუშა-ფოტოგრაფი ხარ? გაყიდი, რამე რო იყოს?

ტოპოგრაფი

კარტოგრაფიისთვის გახლავთ. რელიეფს ვიკვლევთ, რუკების დაზუსტებაა საჭირო.

ხულიგანი 1

ვა-ა. საჭირო?! შენ გჭირდება? რაზეა საჭირო? რუქა რა პონტია, ტვინგამორეცხილმა სახლში მიაგნოს? გაიგეთ? რუქა ვის უნდა? ერთი რუქა — 15 კაპიკი, იაფად ყიდის, ჩვენი ძმაა. თქვა რუქამ არაკი...

(მგზავრი ქალი ანუკისთან გადმოჯდება.)

მგზავრი ქალი

(ანუკის.)

შემიფარებთ?

ანუკი

(თემურის გადახედავს)

დაბრძანდით.

ხულიგანი 2

(კოლია დერგაჩევს.)

შენ, ბრატ, კოლია დერგაჩევი ხარ, ხო? ისა...

ხულიგანი 1

ეგ რა მოხელეა?

ხულიგანი 2

(ხულიგანს 1.)

კოლია დერგაჩევია, ბოჭო, "დინამო" თბილისი. არვიდას საბონისი ჩაკეტა, ბურთი არ ააღებინა — ისე დრიბლინგობდა.

ხულიგანი 1

ვა-ა, კოლა-ჯან, როგორა ხარ, ბრატ?

ხულიგანი 2

კოლია, მაგარ პატივს გცემ. საკანდელიძის და ქორქიას მერე, ყველაზე მაგარი ხარ ჩემ თვალში. მოსკოვის "ცეესკას" აქ რო ეთამაშეთ, ბელოვი რო ჰყავდათ მასტებს...

ხულიგანი 1

მაგარ პატივს გცემთ, კოლაჯან. ჩერესჩურ. რამდენი ხარ, ორი მეტრი ხარ თუ სვერხუ?

(თემურისთან მიდის. თემური ფაჯარაში იყურება.)

შენც კიდე მაგარ ნაშებში ზიხარ, იუზგარ.

ხულიგანი 2

(კოლია დერგაჩევს.)

ალალად გეუბნები...

(მატარებელი მკვეთრად ამუხრუჭებს, ფეხზე მდგომი ხულიგნები წაბარბაცდებიან.)

ხულიგანი 1

მე შენი კეთილები... ხო, რას ვბაზრობდით... კოლა, ბრატ, რა მანქანაში ეტევი? ვაგონში, ხარაშო, ეტევი, და მანქანაში როგორ... აუ-უ, ვიცი! "კამაზით" დადიხარ? არა, მაიცა, ვიცი. წინა სიდენიები ამოღებული გაქვს, უკანა სიდენიაზე ჯდები... არა, მაიცა-მაიცა, — ბაგაჟნიკში ჯდები, იქიდან რულავ...

თემური

(დგება, ანუკის.)

მოვალ.

(კოლია დერგაჩევის გვერდით ჯდება.)

ხულიგანი 1

იუზგარ, რამე გინდა?!

თემური

მე რაც მინდა, შენ არა გაქვს. ბატონ კოლიას და მე სალაპაროკო გვაქვს, წადით თქვენ გზაზე. ესენი, მთელი ვაგონი, ჩემი ნათესავები არიან.

ხულიგანი 1

კოლაჯან, რას იტყვი, ბრატ? ქუთაისელი კაცი ხარ, ბაზარის აზრზე ხარ.

კოლია დერგაჩევი

ბაზარის აზრზე ვარ. ზრდილობა ისწავლეთ. მეგობარმა კარგი რჩევა მოგცათ. წადით აქედან.

ხულიგანი 1

ბიჭო, შენი საბლატაო სად არი! შენ ნაწლავებს ხელზე დავიხვევ!

(ხულიგანი 1 კოლია დერგაჩევს ხელს მოუქნევს. თემური ხულიგანს 1 მუშტის დარტყმით დასაჯდომზე მიანარცხებს, ფეხს ჩაარტყამს.)

(სცენა ბნელდება. ისმის ჩხუბის ხმა. ჩხუბის ხმა წყდება.)

(სცენა ნათდება.)

(იგივენი და მილიციელები. ხულიგნები ძირს ყრიან. ერთ-ერთი მილიციელი ვაგონის სკამზე მის წინ მჯდომ ტოპოგრაფს და ორ სხვა მგზავრს ელაპარაკება, ოქმს ავსებს. ანუკი ერთ-ერთ ხულიგანთანაა ჩაცუცქული, თავს უტრიალებს, ქუთუთოებს უწევს, დაზიანებებს უმოწმებს. თემური ნაცემია, კურტკას გაიძრობს, ჩაიმუხლება ხულიგანთან 1, — რომელიც, შეშინებული, ხელებს სახეზე იფარებს, — კურტაკს თავქვეშ ამოუდებს, სხვა ხულიგანთან გადადის, წამოდგომაში უხეშად ეხმარება, სხკამზე სვამს. კოლია დერგაჩევი სკამიდან დგება, კოჭლობით მიდის თემურისთან, ხელს ართმევს. სასწრაფოს ექიმები შემოდიან, ანუკი უახლოვდებათ, საუბრობენ. ანუკი სკამზე ჩამომჯდარ, გაბრუებულ თემურისთან მიდის, მტევანს და თავზე დაზიანებებს უთვალიერებს, ხელკავს უკეთებს, თემური ხელს გამოითავისუფლებს.)

ანუკი

შემეშინდა.

თამური

ვიცი. ძირს რო დაეყარნენ, მერე რო ზედ შევდგებოდი წიხლით, გადავუვლიდი. ეგრე ფიქრობდი.

ანუკი

დებილო. შენს გამო შემეშინდა. რამე არ მოეწიათ. რას ეკვეხები ყველაგან. გტკივა?

(კვლავ ხელკავს უკეთებს.)

თემური

(ხელს გამოითავისუფლებს.)

არა.

(სანამ სანიტარს და ტოპოგრაფს ხულიგანი 1 სცენიდან გაჰყავთ, თემური თავისი კურტაკის ასღებად მიდი, დახრას იწყებს, წამიერად შეშდება, დახრას ასრულებს და კურტაკს იღებს.)

მოქმედება II. სცენა 15. გოგლიკა

[ანუკის ბინა.]

კალენდარზე: 20 აგვისტო, 1992.

ანუკი, თემური

(სასტუმრო ოთახში — ანუკი, თემური. დიალოგის განმავლობაში, ანუკი თემურის ჯიქურ უცქერს.)

ანუკი

...უკვე ორი თვეა თითქმის. გოგლიკა ჰქვია. ჩემი ტოლია, ოცდა თექვსმეტის. შენზე ორი წლით უმცროსია. გასტროენტეროლოგია, სამედიცინოს პროფესორი. ორჯერ კლასიკური მუსიკის კონცერტზე ვიყავით, რესტორანში. ზრდილობიანია, არაფერი უკადრებია. რას მირჩევ?

თემური

შენ თუ მოგწონს — კარგი ვინმე იქნება. დროს ნუ გაფანტავ.

ანუკი

დღეს გაგაცნობ. რესტორანში დამპატიჟა, "არაგვში". მისი მეგობრები იქნებიან ცოლებით. შენც მოდიხარ. შეხედე, რჩევა მომეცი, რა ვქნა.

თემური

ეგ არ გამოვა. სად მოვდივარ. ჩემი ადგილი არ არი. შენ თუ მოგწონს — კაი ტიპია. მიდი, დროს ნუ გაფანტავ.

ანუკი

რა დროს, ბიჭო?! მოდიხარ. გეხვეწები რა, ძალიან გთხოვ. სულ ცოტა ხანი დაჯექი, მერე წამოვალთ.

თემური

დაფიქრდი — ხელი არ შეგიშალოთ. ეგ ორის საქმეა, ზედმეტი ხალხი არ გამოვა.

ანუკი

ხმა აღარ ამოიღო. მოდიხარ.

მოქმედება II. სცენა 16. “არაგვი”

ანუკი, გოგლიკა, გოგლიკას მეგობრები მეუღლეებით, მთვრალი, მთვრალის მეგობრები, თემური

(თემური, როცა სუფრის ახლადგაცნობილი წევრები არ უცქერენ, ანუკის თვალს არ სწყვეტს — მაშინაც კი, როცა ანუკი უმზერს.)

გოგლიკა

ახლა, ჩემო მეგობრებო, მინდა, ყველასთვის ცნობილი, მაგრამ მუდამ ახალი, უბერებელი სტრიქონები გაგახსენოთ. პოეტის, რომელსაც საშინელ დროს უწია ცხოვრება. მიმიხვდებოდით.

უსიყვარულოდ
მზე არ სუფევს ცის კამარაზე,
სიო არ დაჰქრის, ტყე არ კრთება
სასიხარულოდ...
უსიყვარულოდ არ არსებობს
არც სილამაზე,
არც უკვდავება არ არსებობს
უსიყვარულოდ.
მაგრამ სულ სხვაა სიყვარული
უკანასკნელი,
როგორც ყვავილი შემოდგომის
ხშირად პირველს სჯობს...

(ციტატის მოცულობა რეჟისორზეა დამოკიდებული. დეკლამაცია გამიზნულია ფონად ანუკი-თემურის ურთიერთობის დრამატურგიისთვის.)

(მათს მაგიდასთან მთვრალი მიდის.)

მთვრალი

ბოდიში... სწორად გამიგეთ...

(ანუკის.)

ქალბატონო, ერთი ცეკვა... თუ ნებას მომცემთ...

ანუკი

მადლობა, არ ვცეკვავ.

მთვრალი

იცით, რა არის, ამ მუსიკაზე... როგორც ბანოვანი... თქვენი სილამაზე... არა მაქვს...

გოგლიკა

ხომ გითხრეს, ბატონო. ქალბატონი არ ცეკვავს. რამე კიდევ გინდა?! თუ გინდა — გარეთ გავიდეთ.

მთვრალი

ე! დავაი და გავიდეთ!

(გოგლიკა მეგობრებით და მთვრალი გადიან. თემური დგება.)

ანუკი

(თემურის.)

შენ სადღა მისდევ!

თემური

შენ მეგობარს არაფერი არ ეშლება, ყოველი შემთხვევისთვის წავალ, დავდგები...

(ჩუმად)

მისმინე, არ შეგეშინდეს, კისერს დავიჭრი, აქ არაფერი არ მოხდება, არაფერი არ მოუვა გიორგის. არაფერი არ ეშლება.

(კაცები მალე ბრუნდებიან, გოგლიკა მთვრალის მეგობრების სუფრაზე სადღეგრძელოს სათქმელად შეყოვნდება.)

ანუკი

(თემურის, ჩუმად, მთელი მომდევნო დიალოგის განმავლობაში თვალს არ აცილებს)

რას იტყვი? რას მირჩევ?

თემური

საშენოა. მაგარი კაცია, ყველაფერი უნახავს. არა, საშენო არავინ დაბადებულა, მაგრამ... კაროჩე, თუ ვიღაცაა საშენო — ეგაა, ეგ გიორგი.

ანუკი

რა "გიორგი" აგიტყდა, "გოგლიკა" თქვი.

თემური

პროსტა უპატივცემულობა არ გამომივიდეს. "გოგლიკა" ახლობლებისთვინაა.

ანუკი

არ ვიცი, ვნახოთ, უნდა მოვიფიქრო.

თემური

ძალიანაც დიდი ხანი არა ნახო, მალე ქენი, ჯანუმ, გავა ცხოვრება. კაი ტიპია. მაგარი კაცია.

(გოგლიკა ბრუნდება.)

თემური

(გოგლიკას.)

უფალო თამადა, სადღეგრძელოს უფლებას გთხოვთ.

გოგლიკა

რა თქმა უნდა, ბატონო თემურ. ბრძანეთ, ყველა დიდი ყურადღებით გისმენთ.

თემური

ამ ჭიქით, ბატონ გიორგის სადღეგრძელო მინდა, შევსვა. სუფრაზე, გარეთ — პატივია თქვენს გვერდით ყოფნა. რაინდი კაცის, ღირსეული პიროვნების განსახიერება ბრძანდებით. იდღეგრძელეთ, იხარეთ. მე მაპატიეთ, გასაქცევი ვარ, პატივი იყო თქვენთან ჯდომა. ვერ დავლევ, მანქანაზე ვარ და ბოდიში.

გოგლიკა

ბატონო თემურ, უღრმესი მადლობა დღეგრძელობისთვის. პატივი ჩვენთვისაა თქვენნაირი პიროვნების დასწრება. ქალბატონი ანუკის მეგობრები ჩემი... ჩვენი მეგობრები არიან. მეგობრებად გვიგულეთ. აბა, ჩემო დაიკოებო და ძმებო,

ბატონ თემურს გაუმარჯოს. დღეგრძელობა, წარმატება ვუსურვოთ. აბა, ბოლომდე!

ანუკი

(თემურის, ჩუმად.)

ხუთი წელია, რაც გიცნობ — სადღეგრძელო ერთხელ თქვი. რა სადღეგრძელოები აგიტყდა?!... თან — გამართულად რომ ლაპარაკობ... შენს კვალობაზე — გამართულად, მაგრამ... კოხტა-კოხტა სიტყვებით... თითქოს მეხამუშება...

თემური

მა რა. შენი ბედნიერება მაგრად გამიხარდა. წავედი.

ანუკი

უკვე მივდივართ?

თემური

არა, შენ არ შეწუხდე. მე უცბად გასაქცევი ვარ... ხო იცი.

ანუკი

მოიცა, არ წახვიდე. სალაპარაკო მაქვს.

თემური

ანა, მეც მაგრად მინდა, მაგრამ არ გამოვა. წავედი. ისეთი ამბებია ტრესტში... ობიექტს ვაგვიანებ. თან პრივატიზაციაზე ამყავს, კოოპერატივზე. რამე ხო არ გინდა? დეზერტირებიდან? მჟავე კიტრი, რამე?

ანუკი

არა, მაქვს. ხომ მომიტანე.

თემური

ხარაშო, წავედი.

(ხმამაღლა.)

მადლობა ძალიან დიდი ყველას, თქვენს გვერდით მიგულეთ.

(ანუკი თემურის მზერით აცილებს.)

გოგლიკა

მეგობრებო, იმდენად უკიდეგანო ნდობას მიცხადებთ, რომ ყველაზ სანუკვარ გულის ნადებს მანდობთ ხანდახან — მერწმუნეთ, ვგრძნობ პასუხისმგებლოების სიმძიმეს. მეგობრებო, ერთი განსაკუთრებული სადღეგრძელოს თქმას უფლეგას გთხოვდით... მაპატიეთ, საგანს ოდნავ მოგვიანებით დავუბრუნდები... მინდა, ვთქვა... ანა, არის ვითარებები, როდესაც...

ანუკი

(თემურის მზერას სწყვეტს.)

...ბოდიში.... მაპატიეთ. რა?

გოგლიკა

შენი "რა"სწორედ რომ ჰარმონიაშია ჩემს სათქმელთან. "რა" — ის იდუმალების შარავანდედით შებურვილი გრძნობა, რომელზეც პოეტი ბრძანებს: "და მაინც — გრძნობას არ დაარქვათ ტრფობის სახელი, თუკი იოლად აჰყვა ყველა ფერისცვალებას"... მეგობრებო, მისტერია იმიტომაცაა მისტერია, რომ, რამდენიც არ ეცადო, სინათლეზე გამოიტანო, განმარტო, — მაინც იდუმალი რჩება...

(ანუკი ხელებს კალთაზე დაიწყობს და უმოძრაოდ ზის.)

(სცენა ნელა ბნელდება, გოგლიკას ხმა ინავლება.)

მოქმედება II. სცენა 17. თემურის გარეშე

[ანუკის ბინა.]

კალენდარზე: 2 ნოემბერი, 1992.

ანუკი, დედა

დედა

რაა, დედიკო, ნამტირალევს გავხარ სულ. როგორი დახვეწილი პიროვნებაა გოგლი, ოჯახი მითხარი, ენები, თუ რომელიმე უცხო ენაა, — ყველა იცის. რომ შეხედავ — თვალს უხარია. ჩაცმა მითხარი, მეგობრები მითხარი. არ დამიწყო ახლა, რომ მასაც რაიმე შეეშალა შენთან. არ დავიჯერებ მაინც.

(ანუკის მტევანს იღბს ხელში.)

რამხელა ჰონორარები გაქვს, დედიკო, და — ხელზე ერთი ბეჭედი აღარ დაგრჩა. ყველას შენ ხომ არ შეინახავ...

ანუკი

დე, ცუდად ვარ. იქნებ, აბების სმა დავიწყო ისევ. არ მძინავს საერთოდ.

დედა

იუმე, დედიკო! მე ხომ ვფიქრობდი — აქ რაღაც ამბავია! ახლავე მითხარი, რაა. ახლავე! მომიკვდეს თავი! სამსახურში ხომ მშვიდობაა?!

ანუკი

თემური არ ჩანს. ორ თვეზე მეტია უკვე. არასოდეს ასე არ დაკარგულა. ვურეკავ, სახლში ვაკითხავ. აღარ ვიცი, რა ვქნა.

დედა

დედიკო, შენ რა გითხარი! მე უკვე ცუდი ვიფიქრე. თემური... ახლა, როგორ გაკადრო... კარგი ბიჭია, ვიღაც ვიგინდარა კი არაა. მაგრამ, ახლა, როცა გოგლი გყავს...

ანუკი

(აწყვეტინებს.)

რას ნიშნავს — მყავს?!

დედა

კაი, ახლა, დედიკო, ნუ გაიბუსხები შენებურად. შენს საქმეში კი არ ვერევი, მაგრამ თვალები ხომ მაქვს. ხომ ვხედავ, გოგლა როგორ გიყურებს, როგორ გექცევა... მაგაზე უკეთესი რა გინდა, არ ვიცი... ისე იმედი მაქვს, რომ მეტი არ შეიძლება... გეღირსა, მგონია, რაც გეკუთვნის... ჩემი მზეთუნახავი...

ანუკი

დედა, შენ არ გესმის... ცხოვრება მოვიწყო — მასე არ წავყვები. მხოლოდ ერთს წავყვები... თუ მიწერია.

დედა

დაიწყე ახლა ისევ გამოცანებით ლაპარაკი. მიწაზე ჩამოდი. (ტელეფონის ზარი.) აი ნახავ, ეს თუ გოგლი არ იქნება. ჰე, გაიქეცი, უპასუხე.

ანუკი

არა. უთხარი, რომ კარგად არ ვარ.

დედა

გისმენთ. უი, გამარჯობათ, ბატონო გოგლი.

(დედის ჟესტიკულაციას ანუკი უარის მანიშნებელი მოძრაობებით პასუხობს.)

მაპატიეთ — შესულია... იქით. რომ გამოვა, გადავცემ. როდის, დღეს? დიახ, აუცილელბად. რომელი საათისთვის? მშვენიერი. კი, ეგ ზედმეტი არ იქნება. აუცილებლად. კი, დიდი მადლობა, გადავცემ.

(ყურმილს დებს, ანუკის.)

შვიდი საათისთვის მანქანას გამოგიგზავნის, სუფრა ექნება სახლში. მხოლოდ ახლო მეგობრები ოჯახობებით.

ანუკი

დედა, როგორღა გთხოვო! ხომ გითხარი — არსად წასვლა არ მინდა.

დედა

დედიკო, უხერხულია, შევპირდი, ამ ერთხელ ნუ გამაწბილებ. რას იფიქრებს ჩემზე ხალხი. ძალიან გეხვეწები. წადი და წამოდი. ჩემი ხათრით, დედიკო... მაგი თემური... ახლა, არ გეწყინოს... მარტო დავრჩითო რომ გეგონა — მაინცადამაინც მაგას რომ ესაუბრებოდი დასაცინად... ახლა, ხმა არასოდეს აგიწევია სხვასთან... რაღა მაგასთან?! მიტო, რომ... არაა შენი შესაფერი.

(პაუზა.)

დედიკო, ჩემი ყველაფერი ხარ, ჩემი სიხარული... ჩემი ერთადერთი.

ანუკი

დე.

(დგება, დედასთან მიდის, ხელს ჰხვევს, ჩაიხუტებს.)

(ჩახუტებულები დგანან. დედა ტირის და მიდის.)

(ანუკი კვლავ ჯდება, ხელებს კალთაზე დაიწყობს.)

მოქმედება II. სცენა 18. კოოპერატივი

[სცენის მარცხნივ — მორყეული ჭიშკარი, საყარაულო ჯიხური; შუაში — სამშენებლო ამწე, ბეტონის მიქსერი, სხვა სამშენებლო ტექნიკა; მარჯვნივ — საცხოვრებელი ვაგონი და "ჟიგული-07" — აგურებზე, საბურავების გარეშე. ტალახიანი მინებით.]

ყარაული, ანუკი, არტურა, ცისო

(ჭიშკარში ანუკი შემოდის.)

ანუკი

(ყარაულს.)

გამარჯობათ. თემურის ნახვა სად შეიძლება?

ყარაული

(მთვრალი.)

თქვენ ვინა ბრძანდებით?

ანუკი

ბიძაშვილი ვარ. ვერ ვპოულობთ უკვე ორ თვეზე მეტია, ძალიან ვნერვიულობთ... მთელი ოჯახი. სახლში ვურეკავთ, ვაკითხავთ, — არავინაა. კარი ჩაკეტილია, ფანჯრებში სინათლე არ ჩანს.

ყარაული

იქითა, თავის ტრესტში, თემურ ვლადიმეროვიჩმა განცხადება დაწერა, აღარ მუშაობს იქა. აქა, მაგის კოოპერატივში, არ გამოჩენილა რამდენი ხანია უკვე. ბიჭები ამბობენ — აფხაზეთში წავიდაო საომრადაო.

(ანუკი შეტორტმანდება.)

თქვენ ვინა ბრძანდებით? არაფერი გადავცეთ თუ გამოჩნდა?

ანუკი

ბიძაშვილი ვარ, ანა მქვია. თუ ნახეთ, უთხარით — ველოდებით... ველოდები.

ყარაული

ჩავიწერე, აი, მიწერია ჟურნალში. იცით, რა ჰქენი, ქალბატონო?! ცისოს და არტურას მიადექი. შეიძლება, დაურეკოს.

ანუკი

ვინ ცისო და არტურას?

ყარაული

(ხელს იშვერს.)

ჩავიწერე, აი, მიწერია ჟურნალში... აგე, მეშალკას გასცდებით — ვაგონში ცხოვრობენ. ობოლი ხალხია, და-ძმა. დებილები არიან. მანდ ძაღლია, არ შეგეშინდეს, არ გიკბენს, პროსტა დლია ვიდა ჰყავთ.

(სანამ ანუკი საცხოვრებელ ვაგონისკენ მიდის, გოშიას გაშმაგებული ყეფა ისმის. ანუკი "ჟიგული-07"-ს ჭუჭყიან ფანჯრებში შეხედვას ცდილობს. ვაგონიდან გამოდიან არტურა და ცისო. ძაღლის ყეფა ალერსიან წკმუტუნში გადაიზრდება და წყდება.)

ანუკი

გამარჯობათ. არტურა შენა ხარ?

არტურა

მაშ.

ანუკი

ბატონი თემური ხომ არ იცი, სადაა?

არტურა

არა, არ ვიცი. ძია თემურა წავიდა სადღაცა და ვსიო. ფული დაგვიტოვა ბლომად. უნდა გადავიდეთ. ბინა გვიყიდა. ისწავლეთო. მოვალ — გიპატრონებთო.

ანუკი

საჭმელი გაქვთ?

არტურა

მაშ, დეიდაჯან. თან ვიკეთებთ, ინტერნატშიც მე ვაკეთებდი. კაშა, ჩაი, რამე. თემურა ძიამ მაცივარი მაინტანა, დენი როა, მუშაობს.

ანუკი

მანქანის გასაღები გაქვს?

არტურა

შენახული მაქ, ოღონდა ვერ გაგიღებ, არ გეწყინოს, დეიდაჯან.

ანუკი

თემურა ძიას ბიძაშვილი ვარ, ახლავე გააღე!

არტურა

ჰალალი ბიძაშვილი?! გავაღებ, კანეშნა, ოღონდ ვერაფერს ვერ გაგატან.

ანუკი

არაფერს არ ავიღებ, შევიხედავ.

(არტურას გასაღები გამოაქვს, მანქანის კარებს და საბარგულს აღებს.)

ანუკი

(საბარგულში იხედება.)

აქ არაფერია, ცარიელია.

არტურა

პაკრიშკები, ნასოსი, ბიზონი კლუჩი, რამე — მაგას აქვს, ბუტკაში, ყარაულსა, არ მაიპარონ. აკუმულიეტორი წაიღო — თემურა ძიამ მითხრაო, ლამფუჭკას ანთებს.

ანუკი

არ დაკარგოს, თორემ მილიციას დავაყენებ.

(მანქანის სალონის სათათმანე უჯრიდან, "ბარდაჩოკიდან", ჭუჭყიან ჩვარს, კასტეტს და ჭუჭყიან კონვერტს იღებს, კონვერტიდან — თაბახის ფურცლებს. ფურცლებს კითხულობს, ტირილს იწყებს.)

არტურა

რა მოგივიდა, დეიდაჯან, ცუდი ამბავია?! ეგენი რეებია? ფული თუ არი — ვერ გაგატან, თემურა ძიასია.

ანუკი

(კასტეტს უჩვენებს.)

ეს ის არის... არ ვიცი, რა ჰქვია... რკინაა. ცუდი ადამიანები ხელზე რომ იკეთებენ, როცა ჩხუბობენ.

(კონვერტიდან ამოღებულ ფურცლებს უფრიალებს.)

ეს ქაღალდი იცი, რა არის?

არტურა

ქახალდია.

ანუკი

(ფურცლებს აფრიალებს.)

ამას წავიღებ.

არტურა

ქახალდი, კანეშნა, წაიღე, ბიძაშვილი ადამიანი ხარ.

ანუკი

ქაღალდი კი არა — საბუთია. მინდობილობაა. თემურა ძიამ მთელი ქონება მე დამიტოვა. ეს მანქანაც ჩემია, აი, ეს მთელი ეზო და რაც შიგაა, ეგეც ჩემია, ეგ ვაგონიც ჩემია. აი საბუთი. აი, ნახე, — ნოტარიუსის ბეჭედი.

არტურა

ვა-ა, ნოტარიუსი?! დეიდაჯან, ვიყოთ თუ წავიდეთ ცისო და მე? თუ ეგ ვაგონი შენია, წავალთ. ცისო, გაიგე?! ამისია, ვსიო.

ანუკი

სად წახვალთ, ბიჭო! თემურა ძიას ალალი ბიძაშვილი ვარ, ამ ქაღალდში წერია — არტურა და ცისოს უპატრონეო, ჩვენი ნათესავები არიანო. თემურა ძიამ ჩაწერა. აი, ბეჭედი. საჭმელს მოგიტანთ ახლა, ერთად ვჭამოთ. შეიძლება?

არტურა

დეიდა, შენა სახელი რა გქვია? დამავიწყდა.

ანუკი

რა უშავს მერე. მეც ხშირად დამავიწყდება ხოლმე რაღაცეები. ანა მქვია. დაიმახსოვრე — ანა დეიდა. დეიდათქვენი ვარ. რა გიყიდოთ, რა გიყვართ?

არტურა

რავი. ლიმონათები, რამე.

ანუკი

წადით, მაგიდა გაამზადეთ სანამ მოვალ.

(არტურა და ცისო ვაგონში ბრუნდებიან. ანუკი საყარაულო ჯიხურის იმ კედელს ეფარება, სადაც ყარაული ვერ დაინახავს, ჩაიკუნტება, თემურის მინდობილობას ოთხად კეცავს, გულზე იხუტებს და ტირის.)

მოქმედება II. სცენა 19. სტუმრად გოგლიკასთან

[გოგლიკას ბინის სასტუმრო ოთახი სუფრით და წინკარი.]

ანუკი, გოგლიკა, გოგლიკას მეგობრები (5), ტურიკო

გოგლიკა

...თქვენის ნებართვით, იტალიაში მოგზაურობის ეპიზოდს გავიხსენებ. სპაკკანაპოლის ქუჩა აქვთ, ულამაზესი. კონფერენციაზე გამოსვლამდე, დრო დამრჩა და მოვსეირნობ მაგ ქუჩაზე...

(სინათლე ქრება.)

მე ამათი! ამოიყვანეს ყელში, ტო, ამ მექრთამე გოიმებმა! ბოდიშს მოგიხდით, წავალ, დავქოქავ. ახლავე მოვიყვან შუქს.

(დიალოგი სიბნელეში გრძელდება გენერატორის დაქოქვის ხმამდე. მალე დიალოგის განახლებიდან, ინთება ანუკიზე მიმართული პროჟექტორი. ანუკი უმოძრაოდ ზის, ხელები კალთაზე აქვს დაწყობილი. შემდეგ ჯიბიდან მინდობილობას ამოიღებს, მკერდზე იხუტებს, ერთხანს აჩერებს. მცირე ხნით ინთება მეორე, "ვეფხისტყაოსნის" ციტატებზე მიმართული, პროჟექტორი. გენერატორის დაქოქვის ხმის გაჩენამდე, ანუკი მინდობილობას ჯიბეში აბრუნებს, ხელებს კვლავ კალთაზე იწყობს. მეორე, ციტატებზე მიმართული პროჟექტორი, ქრება. სცენაზე შუქის დაბრუნებამდე, კალენდარზე მიმართული პროჟექტორიც ქრება.)

მეგობარი 1

(სიბნელეში.)

ბიჭო, კორუფცია გამიგია, მაგრამ ესენი საერთოდ მთელ ფულს ტეხავენ. გამოუყოფს გერმანია ოც მილიონს მაგ დედააფეთქებული მეცხრე ენერგობლოკის შეძენისთვის — მოიპარავენ, გამოუყოფს — მოიპარავენ.

მეგობარი 2

თავისუფლების ფასს ვიხდით, ძმაო. კომუნისტებმა ქვეყანა სამოცდაათი წლით წაგვართვეს, მეტი დრო გვჭირდება.

მეგობარი 3

შევარდნაძე, "მხედრიონი", ჯაბა, კიტოვანი და ასეთი თემები არ მიხსენოთ, თორემ წავალ! აღარ შემიძლია ერთი და იგივეს მოსმენა, გავაფრენ!

მეგობარი 1

აფხაზეთის ბრძოლებზე არა ვთქვათ, ეგეც არა?!

მეგობარი 3

თუ რამე განსაკუთრებული იცი, თქვი. თუ არადა — აღარ შემიძლია ერთი და იგივე. ვნერვიულობ, ბავშვი ვერ იძინებს მაგ საუბრებში.

მეგობარი 1

ახალი... ახალი რა — მოდების ჟურნალი ხომ არ არის. მძიმე ბრძოლებია. ყარყარაშვილმა ჩამოაყალიბა ეფექტური გაერთიანება. დისციპლინაა, პროფესიონალურად ომობს...

მეგობარი 2

ნოდარ ნათაძე ჩასულა ფრონტზე, სროლაში მოჰყვა...

მეგობარი 3

ეგ რომელია — მელოტი როა? დოქტორი როა თუ პროფესორი, პარლამენტის დეპუტატი რომ გახდა? აკადემიკოსის შვილი?

მეგობარი 1

ხო, ეგ, რეზოს შვილი. მხოლოდ დეპუტატი კი არა, რაღაც კომიტეტის თავმჯდომარეა თუ მოადგილე. სროლაში მებრძოლებისთვის უთქვამს — ჯავშანჯილეტი მაცვია, მე მომეფარეთო. მერე ნახეს — არ ეცვა.

მეგობარი 2

მაგარ არაკაცობებზე მოდიან იქიდან. "კოლუმბიურ გალსტუხებს" უკეთებენ ჩვენ ბიჭებს, თუ ტყვედ ჩაიგდეს...

მეგობარი 3

აღარ თქვა, აღარ თქვა, აღარ თქვა! არ შემიძლია მაგ საზიზღრობების მოსმენა!

(გენერატორის დაქოქვის და მუშაობის ხმები ისმის, სინათლე ინთება, აივნიდან გოგლიკა ბრუნდება.)

გოგლიკა

ცხრა ხდება, ახალი ამბები ვნახოთ.

მეგობარი 2

გოგლა, მაიცა ეხლა, ძაან ტელევიზორად ნუ გადავიქცევით. ვზივართ, რა. ტელევიზორი — ხვალე. შუქი გვაქვს, ნავთი გაქვს ბლომად — არა გვცივა. ჰე, ვიმღეროთ, ტურიკო აგერ, უბეში, მიზის, გიტარა მოართვით მაესტროს.

გოგლიკა

მართალი ხარ, ლაშა. ცოტა გამოვეთიშოთ ამ თემატიკას.

მეგობარი 3

ტურიკო, მიდი, გენაცვალე. მოგყვები.

(ტურიკო გიტარაზე უკრავს, მღერიან.)

გოგლიკა

მოდი, ძმებო, საქართველოს გაუმარჯოს, ჩვენს ლამაზ სამშობლოს, ჩვენს ამქვეყნიურ სამოთხეს. ჯიჯგნის ყვავ-ყორანი რამდენი საუკუნეა — ფეხები ვერ მოსჭამა, დგას მამული. ცხრა ძმა ხერხეულიძე, პატარა კახი, ჩვენი გმირები... არ მინდა ეხლა ზედმეტები, ყველამ ვიცით. შეეწიოს. სიტყვა. საქმე.

მეგობარი 1

ამინ, ძმაო!

მეგობარი 2

ამინ!

მეგობარი 5

ჩვენი დიდი მეფეების, ჩვენი დიდ გმირების ხსოვნა!

ტურიკო

სადღეგრძელოს ვუერთდები.

ანუკი

გადაუდებელი საქმე მაქვს, წავალ, ბოდიშს გიხდით.

მეგობარი 4

ანი, ვერ დარჩები?!

მეგობარი 2

ქალბატონო ანა, გთხოვთ, დაგვიმშვენოთ სუფრა, დაყოვნდეთ, თუ საშუალება გაქვთ. წავიმღეროთ, ვიმუსაიფოთ და მერე მიგიყვანთ, სადაც გვიბრძანებთ.

გოგლიკა

ანი, დარჩი, ძალიან გთხოვთ ყველა. სუფრა გაგვილამაზე.

ტურიკო

ანუკი, იყავი, რა.

მეგობარი 3

ანუკი, დაგირეკავ, ბავშვს მოვიყვან.

ანუკი

(მეგობარს 3.)

ლიზკა, კარგი იქნება, ვნახავ.

(დანარჩენებს.)

მაპატიეთ. უნდა წავიდე. გადაუდებელი საქმე მაქვს. გოგლიკ, გამაცილე, თუ არ შეწუხდები. რამდენიმე სიტყვა მინდა, გითხრა. მადლობა ყველას. როგორი საყვარლები ხართ.

მეგობარი 1

ქალბატონო ანა, მადლობა, რომ დაგვაფასეთ და მობრძანდით.

მეგობარი 5

ქალბატონო ანა, უღრმესი მადლობა, სუფრას ლაზათი შეჰმატეთ.

გოგლიკა

რა თქმა უნდა, ანი. მოვდივარ. მობრძანდი.

(ანუკი და გოგლიკა წინკარში გადიან.)

გოგლიკა

ანი, ხომ კარგად ხარ? რაიმე ხომ არ გაწყენინე?!

ანუკი

არა. ძალიან კარგი პიროვნება ხარ. დიდი მადლობა ყველაფრისთვის. აუცილებლად იპოვი ბედს. ბედნიერი იქნები. შენზე მეტად ცოტა ვინმე იმსახურებს. მეგობრებიც ძალიან საყვარელი გყავს. გთხოვ — აღარ დამირეკო. მაპატიე, თუ შეგიძლია. მაპატიე. სანამ არ დაკარგავ — არ გესმის, რას კარგავ. სანამ ძალიან გვიან არ გახდება. არ გამაცილო. შებრუნდი, გელოდებიან. ბედს გისურვებ.

გოგლიკა

ნება მომეცი, სახლამდე მიგიყვანო.

ანუკი

არა, გმადლობ.

გოგლიკა

...შენი გულის მოგების არცერთი შანსი არ მაქვს?

ანუკი

სხვა მიყვარს. ჩემი ერთადერთი.

მოქმედება II. სცენა 20. თემური

[თემურის ჩაბნელებული ბინა, განათებული სადარბაზოს კიბის ბაქანი მის მარჯვნივ.]

კალენდარზე: 27 სექტემბერი, 1993.

ანუკი, თემური

(ფონოგრამა — სოხუმის დაცემის რადიორეპორტაჟი.)

"სოხუმი დაეცა. სამმხრივი ხელშეკრულებით გაფორმებული ზავის დარღვევის შემდეგ, სეპარატისტებმა ქალაქი ერთკვირიანი ინტენსიური დაბომბვის შედეგად აიღეს. სოხუმიდან ქართული მძიმე ტექნიკის ხელშეკრულებით ნაკისრი გაყვანის შედეგად, ქართული თავდაცვითი ძალები იძულებული გახდნენ, უკან დაეხიათ. ცნობების თანახმად, სოხუმიდან და მის შემოგარენიდან ათიათასობით ლტოლვილი მოემართება დასავლეთ საქართველოსკენ. ოჯახები მცირეწლოვანი ბავშვებით, ხანდაზმული ადამიანები. გზები და მთის უღელტეხილები გადატვირთულია. კოლონები კილომეტრებზეა გადაჭიმული. თვითმხილველების ჩვენებები მიუთითებს სოხუმში ფართომასშტაბიან ძარცვასა და მკვლელობებზე, რომლებიც, სავარაუდოდ, სეპარატისტ მებრძოლებს და დაქირავებულებს უკავშირდება. ქაოსის პირობებში მსხვერპლის ზუსტი ოდენობა უცნობია..."

(კიბის ბაქანი ნათდება. მასზე ანუკი შემოდის, კარზე ზარს რეკავს. არავინ პასუხობს. კარებთან ძირს ჯდება, ტირის. ხელში თემურის მინდობილობას ჭმუჭნის, კარის საღebავს ფრჩხილებით ფხოჭნის. კიბის ბაქანი ბნელდება.)

(კალენდარზე თარიღები იცვლება. ყოველ ცვლამდე, კიბის ბაქანი ბნელდება, შემდეგ ნათდება. ყოველ ეპიზოდში, ბაქანზე ანუკი შემოდის, ხშირად — განსხვავებული სამოსით, კარზე ზარს რეკავს, ხანდახან კარზე სუსტად აკაკუნებს. არავინ უღებს. სანამ სცენა ჩაბნელდება, ანუკი ან კარს ეყრდნობა, ოდნავ აკაკუნებს, ან კარს ფხოჭნის, ან ჩაიკუნტება, ან ძირს ჯდება. ერთხელ ჩანს, რომ ავადაა — ხველა ახრჩობს, ცხვირს იხოცავს. უკანასკნელ ეპიზოდებში უშნოდ აცვია: ზომაზე დიდი პალტო, უზარმაზარი თავსაკრავი. ხანდახან ჯიბიდან თემურის მინდობილობას იღებს. ამ სცენაში კალენდრის ბოლო ფურცლის ჩამოვარდნამდე ფრაგმენტში, ანუკი

(შემოდი, კარზე აკაკუნებს, კარს ფრჩხილებით ფხოჭნის; ხელებით მიაწვება, რათა მოსცილდეს, წასასვლედად რამდენიმე ნაბიჯს გადადგამს, ბრუნდება, თემურის კარის ძირში ჯდება, ქვედაბოლოს უშნო ჩექმებზე გადაიფარებს, კარს მიეყუდება, თავს მიადებს, თვალებს ხუჭავს, ხევდება. ხელში თემურის მინდობილობა უჭირავს. სცენა ბნელდება.)

კალენდარზე: 29 დეკემბერი, 1993.

(კიბის ბაქანი ნათდება, მასზე ანუკი შემოდის, ზარს რეკავს. დგას. შუბლით ეყრდნობა კარს, ფრჩხილით მსუბუქად ფხოჭნის.)

(თემური საძილე ოთახში შუქს ანთებს.)

[მარცხნიდან: საძილე ოთახი — საწოლში, საბანშემოხვეული თემური წევს. სასთუმალთან, კედელზე — მომღიმარი ანუკის ფოტო. საწოლის მაგიდაზე — თეფში პურის ყუით. გვერდით ორი ყავარჯენი მიყუდებულია. კუთხეში, იატაკზე — ავტომატი; ზედ მიგდებულია თამბაქოსფერი ზურგჩანთა, ღვედებით დაკრული სამხედრო ფერის კოპლებიანი ქურთუკით.]

(თემური გაჭირვებით დგება საწოლიდან. ცუდად გამოიყურება: გაძვალტყავებული, გაჭაღარავებული, ფერწასული, ლურჯი რგოლებით თვალქვეშ. აცვია უშნო, გრძელი სპორტული ტრუსი — შავი, ტოტებზე რუხი არშიებით. მარცხენა ხელი კისრიდან ჩამოკონწიალებულ კაშნეზე უკიდია; მარცხენა ფეხზე ჭუჭყიანი სახვევი ადევს, სისხლის ლაქით. ერთ ყავარჯენს იღებს და სასტუმრო ოთახში გადის. ანუკი წასვლას აპირებს, როცა თემურის ბინიდან ძლივს გასაგონი ხმა ესმის — ჩერდება; ბრუნდება, კარს ეყრდნობა და ხელით ალერსიანად ეხება ზედაპირს. წინკარში

თემური შუქს ანთებს, კართან მიდის. ანუკი შეშდება. თემური კარს აღებს.)

ანუკი

რატომ... რა...

თემური

მოდი. როგორ გამიხარდა. იცი, როგორ.

ანუკი

რა გაგიხარდა! სად იყავი!

თემური

გავიარ-გამოვიარე. ამოვიდა ყელში თბილისი. ცოტა პუტეშესტვია ავწიე.

ანუკი

რას როშავ?! აფხაზეთში იყავი! როდის ჩამოხვედი?! მეგონა — მოგკლეს!!

თემური

მომკლეს, თორე ეხლა ისა ვარ რა... 300 არაგველი, მნიშვნელოვანი ტიპაჟი.

ანუკი

როდის ჩამოხვედი?

თემური

ორი კვირა ეგრე.

ანუკი

რატომ არ მოხვედი... კარგი — რატომ არ დამირეკე?! მეგობრები ვართ თუ აღარ?!

თემური

ვართ, ქაბატოჯან, მა არა ვართ! დაჯე, მოდი. ჩაი დაგალეინო. შენი საკადრისი არ არი, მაგრამ — რაც არი. როგორ გამიხარდა შენი ნახვა. სადღაც ზემოდან მოდიხარ ყოველთვინ.

ანუკი

ზემოდან არა — ქვემოდან. მართლა ყველაფერი მართალია, რასაც იმათ მხეცობებზე ლაპარაკობენ?

თემური

ცუდი და კარგი იქითაც არი, აქეთაც. მტრობას რა აუშენებია.

(თემური სასტუმრო ოთახში რჩება, სოფაზე გაჭირვებით ჯდება. ანუკი საძილეში შედის, სასთუმალთან, კედელზე საკუთარ ფოტოს დიდხანს უცქერს, საწოლის მაგიდიდან თეფშს აიღებს საჭმლის ნარჩენებით, დასცქერის. სასტუმრო ოთახში ბრუნდება, სამზარეულოში გადის, ჩამრთველს ეძებს, სინათლეს ანთებს. კედლის კარადებს და მაგიდის უჯრებს აღებს. უჯრები ცარიელია. თითს უსვამს ზედაპირებს, რეაქციაზე ეტყობა — ყველგან მტვერია. მაცივარს აღებს — შიგ მხოლოდ ერთი პატარა თეფშია, რომელიც ცხვირთან მიაქვს, ყნოსავს, მიიხედ-მოიხედავს, თეფშის შიგთავსს სამზარეულოს სანაგვეში ყრის, თეფშს ჭურჭლის სარეცხ ბაკანში დებს, სასტუმრო ოთახში ბრუნდება.)

თემური

(სიცილით.)

რანაირად შენ ნებაზე დადიხარ, შენი ბაითი ხომ არ არი. არ მეკითხები?!

ანუკი

გაკმინდე ხმა. ვერმიშელი და ნატეხი პური გაქვს მარტო?! ფული გაქვს?

თემური

ყველაფერი ნორმაშია.

ანუკი

გეკითხები! ფული გაქვს?!

თემური

კანეშნა მაქ. ცოტა დავისვენო, წავალ, მაყუთს გავაკეთებ. ბიზნესის ჟილკა მაქ, ხო იცი.

ანუკი

ახლა, ახლა გაქვს ფული?!! ახლა გაქვს-მეთქი?!! მაჩვენე!

თემური

ყველაფერი ნორმაზეა.

ანუკი

არ გაქვს!! კაპიკი არ გაქვს!! და არ დამირეკე. დაჯექი, ფეხს ვნახავ. მერე ხელს. გადაგიხვევ.

თემური

რას გადამიხვევ, კაცო, ერთი. გადახვეულია. მიდი, დაჯე, მომიყევი. ყველაფერი მაინტერესებს. გოგლიკასთან... გიორგისთან როგორა ხართ? მართლა კარგი ბიჭია რა, ფაიზაღი, ნაღდი.

ანუკი

ვინ გითხრა, რომ ვარ. ვინ გითხრა, რომ ვიქნები. რას მათხოვებ. მე არავინ მეკითხებით. არც დედა, არც შენ.

თემური

როგორ არ გეკითხები. მე რა, გერევი?! დავაი, სხვა ამბებზე ვილაპარაკოთ. ეგ შენი საქმეა. მოგინდება — მომიყვები.

ანუკი

რატომ არ მერევი მერე, ჩამერიე. რა გინდა, რა ვქნა?!

თემური

ხო გითხარი, კაი ბიჭია... კაი კაცია. იჩხუბეთ, სიმონ, თუ რაებს მიხლართავ?

(სოფასთან, სადაც თემური ზის, ანუკი ორ სკამს მიაჩოჩებს. ერთზე ჯდება, მეორეზე თემურის ფეხს დებს, დოლბანდს შემოხსნის.)

ანუკი

გაგიჟდი, ბიჭო?! დაგიჩირქდება ასე. ოპერაციების მერე არავინ არ მართავს ჭრილობებს?! აქაც ანტისანიტარიაა ირგვლივ...

თემური

(სიცილით.)

ჰა? ანტი-რა-ა? ანტიდემოკრატია?!

ანუკი

შესახვევი მასალა გაქვს? სტერილური ხელთათმანი, სტერილური ბინტი, სტერილიზატორები, ანტიბიოტიკი მალამო... რამე გაქვს?

თემური

კანეშნა. ყველაფერი მაქ. ხელთათმანი არა მაქ. მე ვერ შევიხვევ?! რად გინდა, ხელებს რო ისვრი...

ანუკი

შენ გეტყობა, როგორც იხვევ. ხმა აღარ ამოიღო. სად გაქვს?

თემური

ვა-ა, ეხლა შენ მოიფიქრე — ამოვიღო ხმა თუ არ ამოვიღო?! წავალ, მოვიტან.

ანუკი

ეგდე მანდ. სად არის?

თემური

საწოლში.

ანუკი

"საწოლში" კი არ უნდა თქვა — "საძილე ოთახში".

თემური

ვა-ა.

(ანუკი იცინის, საძილე ოთახში საჭიროს არჩევს, ბრუნდება, თემურის ხელ-ფეხს უხვეს. იღიმის.)

ანუკი

გახსოვს, პირველად რომ სახლში დაგპატიჟე?! მაშინაც მარცხენა ხელი გქონდა შეხვეული და ყავარჯნით დადიოდი...

თემური

მაშინ მარჯვენა ფეხი იყო.

ანუკი

მაშინ რაღაში ჩაეჩხირე? ახლა მაინც მითხარი.

თემური

წავიქეცი.

ანუკი

როდის რა გითქვამს. მეგობარს სულ ტყუილად მეძახი.

თემური

რა ტყუილად, ჯანუმ. რა მახსოვს, იცი?! პირველად რო გნახე, ვაფშჩე გავაფრინე, ტვინი გადამეკეტა. რეებს ვროშავდი. ვაბშჩე რაც სისულელე იყო, ყველა ვთქვი. ტყუილები წავაყარე. ფეხბურთი ვაბშჩე არ მიყვარს. ეხლაც, ყოველთვის, როცა მოდიხარ, — ყოველთვის თითქოს ციდან ჩამოდიხარ. რა მეგობარს ტყუილად გეძახი, გოგო.

ანუკი

ციდან არა ისა — კარადიდან ვძვრები.

(პაუზის შევსებას ცდილობს.)

...იცი, რამდენი მოვლენა მოხდა, სანამ არ იყავი?! ცისო და არტურა ახალ ბინაში გადავიდნენ. შენ რომ უყიდე...

თემური

ვა-ა. მანდაც მიხვედი?! ვა-ა. მაგათ მაგრა ეყვარები ზნაჩიტ. ეგენი მაგარი ხალხია, ჩვენნაირებს მილიონს სჯობიან... არა, შენ არა, ჩემნაირებს. შენნაირი ვინ იქნება, არ დაბადებულა. ალალი ხალხია. როგორ გამიხარდა რო გაგიცნეს.

(თემური საუბარში აღარ ჰყვება. მხოლოდ ანუკი ლაპარაკობს — გამონაკლისის გარდა — როდესაც ანუკი იტყვის, რომ, თემურის სახლის გზაზე, უცნობები აედევნენ.)

ანუკი

(პაუზის შევსებას ცდილობს.)

...ხოდა — გადავიდნენ. სულ დავდიოდი ეს წელი. სანამ შენ არ იყავი. ფარდები დავუკიდე. საჭმელი მიმქონდა. შენ რომ მოხუცებს ინახავდი, მაგაზეც გამხილეს, იქაც დავდიოდი. ის ბიჭიც რომ არის, ოპერაციაზე რომ დააწვინე, ისიც ვიპოვე და მივხედე. რომ ვერაფერს გათქმევინებს ადამიანი... აქაც ხშირად მოვდიოდი... ხან — ყოველდღე... ღამე მეშინოდა ქუჩაში. დედას პალტოს ვიცვამდი, თავს წავიკრავდი — ვითომ უფრო... ბებერი ვარ — და ისე მოვდიოდი... ერთხელ ვიღაც ბიჭები ამედევნნენ, ისე შემეშინდა...

თემური

(წამოყელყელავდება.)

ვინ იყვენენ?! იცნობ?! იცანი?! როდის იყო?!

ანუკი

კარგი, ბიჭო! რამდენიმე თვე გავიდა უკვე. არ ვიცნობ. აქ შემოვასწარი, სადარბაზოში. დავიმალე, ფანჯრიდან ვიჭყიტებოდი სანამ არ წავიდნენ. მერე კიდევ დავიცადე...

(თემური სოფას საზურგეზე გადაწვება, კვლავ ჩუმდება. ანუკი პაუზის შევსებს ცდილობს.)

...დედა კარგადაა. მამა პენსიაზე გავა მალე... ჩემი მეგობარი რომ არის, ლიზიკო, გახსოვს?! ისეთი კარგი ქმარი ჰყავს... კიდევ ერთი გოგონა გაუჩნდათ... კიდევ რა?!... ჩემს სამსახურში რემონტს აკეთებენ, ვიღაცამ გამოისყიდა... კიდევ... დედასგან, ბოლოსდაბოლოს, ხაჭაპურის გამოცხობა ვისწავლე... კიდევ რა მოგიყვე...

თემური

წადი ეხლა, ჯანუმ. დაღლილი იქნები. ჩემ ჭრილობებს რა მყრალი სუნი ასდის, მეც ვიცი.

(პაუზა.)

ანუკი

მაგდებ? მართალი მითხარი — სხვა ქალი გაგიჩნდა? წავიდე?!

(თემური უმოძრაოდ ზის. შემდეგ ყავარჯენს იატაკზე ახეთქებს. კვლავ, თავჩაქინდრული, უმოძრაოდ ზის.)

თემური

გაგიჟდი?! რა სხვა ქალი! შენ... კაროჩე... შენ... ხო მითხარი... მეგობრობა და — მორჩა... ხო დაგპირდი. ხო ვიცი — სად შენ, სად მე. კაროჩე... წიგნი არა მაქვს წაკითხული... "შორეული ლანდები" და "ფარაონი" ბოლესლავ პრუსტის — ეგა

ვარ, ვსიო. შენ, კაროჩე, ბარნოვზე გაზრდილი გოგო, ვაკე... მანდ კაცს სახელი უნდა ერქვას "ვატო", "გოგლიკა"... "ანუკი". "მურთაზა" და "ანზორა" არ მოსულა. არც "თემურა". სიტყვა მოგეცი — ვსიო, ჩემი იმედი გქონდეს. რო მოვკვდე, კაროჩე, სიტყვას არ გადავალ. ჩემი თავი ფეხზე მკიდია, სიმონ, შენ მყავდე კარგად.

ანუკი

(თემურისთან სოფაზე გადაჯდება, მხარზე ეყრდნობა. ჩუმად)

გათავისუფლებ სიტყვისგან. კაროჩე. სიმონ.

თემური

როგო-ორ?! მაიცა, სიმონ. გოგლიკას ჯიბრზე ხო არ აკეთებ?! ეგრე არა ქნა. ინანებ.

ანუკი

(თემურის მკერდზე ეყრდნობა.)

გოგლიკას არა — გოგლიმოგლიკას. რა გოგლიკა.

(სცენა ნელა ბნელდება. სანამ სულ ჩაბნელდება, თემური, ძალიან ფრთხილად, ანუკის ხელს ჰხვევს.)

მოქმედება II. სცენა 21. ხიდი

[ღამე. პროჟექტორების შუქი: ერთის — ციტატაზე; მეორეს — კალენდარზე.]

კალენდარზე: 14 თებერვალი, 2024, ვალენტინობა.

ანუკი, თემური, თვითმკვლელი ქალიშვილი

(შემოდიან ანუკი და თემური სამეჯლისო სამოსით, ზემოდან: ანუკის — მანტო, თემურის — პალტო; ანუკი — თეთრი სამეფო შროშანები თაიგულით. თემური "პეპელა"-ჰალსტუხს მოიშვებს; თმა მთლიანად თეთრი აქვს. მოსეირნობენ.)

ანუკი

...რა ბედნიერება იყო მთელი კონცერტი. ქალბატონი ელისო ახერხებს, აკონტროლოს ვირტუოზული შესრულება ისე, რომ არ დაუკარგოს ღრმა ინტელექტუალური სიღრმე, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი პოეტური სითბო. ეს იმდენად იშვიათია...

თემური

განსაკუთრებული ჟღერადობაა. ძველი სკოლა. ეგ ყველაზე ღრმად ურტყამს გულში.

ანუკი

ეს სასიმღერო ტონი, სტრუქტურის განსაკუთრებული სიცხადის შენარჩუნება, რომანტიკულ რეპერტუარში განსაცვიფრებელი ჟღერადობა. წარმოუდგენელია!

(გალაკტიონის ხიდზე შედიან. მოაჯირს გადაღმა — მტკვრის ზედაპირზე არეკლილი ღამის თბილისის სინათლეები.)

თემური

(თითქოს მოგონებებში წასული.)

...ერთი პატარა ხიდია... ამ ხიდით ჩვენთან მოდიან... ამ ხიდით ჩვენგან მიდიან...

(ანუკი სახეს თაიგულში ჩარგავს, თავს თემურის მხარზე ადებს. თემური ხელში მოიქცევს ანუკის მტევანს, ლოყაზე მოისვამს, შემდეგ მტევანს აკოცებს. მოაჯირს ეყრდნობიან, თბილისს და მტკვარს გასცქერიან. შემდეგ სეირნობას აგრძელებენ.)

(პროჟექტორი, რომელიც ციტატებს ანათებდა, მკვეთრად გადაინაცვლებს ხიდის მოაჯირის სეგმენტზე სცენის შუაში, მოაჯირს გარეთ თვითმკვლელი ქალიშვილი დგას, მოაჯირს ხელებით ჩაფრენილი, ანუკისკენ და თემურისკენ იხედება. თემური ქალიშვილს შეამჩნევს, ოდნავ შეყოვნდება, მობილურს იღებს ჯიბიდან, თვალებთან მიაქვს. ანუკი ქალიშვილს ვერ ამჩნევს.)

თემური

...ბრწყინვალედ შეასრულა ქალბატონმა ელისო ვირსალაძემ...

(მობილურში იხედება, ხმამაღლა.)

ვახ, ანი, ატომური ბომბი ისროლა ჩრდილოეთ კორეამ! ვახ! ხალხი უნდა გავაფრთხილოთ! ვახ, ნახე, აქ კიდე — ემი ვაინჰაუსი ცოცხალი ყოფილა! ვახ!

(ანუკი გაოცებული შესცქერის თემურის, ქალიშვილს ამჩნევს. ქალიშვილისკენ აუჩქარებლივ სვლას განაგრძობენ, მისკენ არ იხედებიან. ქალიშვილი შეშლილი თვალებით უმზერთ.)

ანუკი

(ხმამაღლა)

დიდი ატომური ბომბი ისროლა ჩრდილოეთ კორეამ? რამდენი ხანი დაგვრჩა, მოსახლეობა რომ გავაფრთხილოთ? ემი ვაინჰაუსზე ნამდვილი ამბავია? რას ამბობ?! ვინ ამბობს?! აბა, ტელეფონში მიჩვენე...

(თემურის ტელეფონში იცქირებიან, აუჩქარებლივ სვლას განაგრძობენ. როდესაც ქალიშვილს თითქმის გაუსწორდებიან, ის ხიდიდან ხტება. თემური ისკუპებს — მისი მობილური ტროტუარს ენარცხება — ქალიშვილის პალტოზე ხელის წავლებას ასწრებს და ისიც მოაჯირს მიღმა უჩინარდება. ორი წამის შემდეგ ისმის წყალში ჩავარდნილი სხეულების ტყაპანი.)

(ანუკი გახევდება, თაიგული უვარდება.)

ანუკი

(მობულურით რაკავს. ხელები უკანკალებს. მკაფიოდ, წყნარი ხმით.)

გამარჯობათ. გალაკტიონის ხიდიდან ორნი გადაცვივდნენ. ერთი წუთის წინ. უფრო მარცენა სანაპიროსკენ იყვნენ. დიახ. სასწრაფოც.

(ანუკის მობილური ხელიდან უვარდება, ფეხები ეკეცება, ტროტუარზე ჯდება და ზის. დგება, მობილურებს იღებს, სცენის ჯერ მარჯვნივ, შემდეგ — მარცხნივ გაიხედავს და მარცნივ გარბის.)

(პროჟექტორი, რომელიც სცენის დასაწყისში ციტატებს ანათებდა, შემდეგ — თვითმკვლელს, კვლავ ციტატებისკენ ინაცვლებს.)

ეპილოგი

[საავადმყოფოს VIP-პალატა. ორი საწოლი, ორი სკამი.]
კალენდარზე: 16 თებერვალი, 2024 წელი.
ანუკი, თემური, ექიმი 2, კოტიკო

(თემური — საწოლში. შემოდის ანუკი.)

ანუკი

ვერ გადაარჩინეს. შემოყვანილია მძიმე პოლიტრავმით. ფართომასშტაბიანი კრანიოცერებრული და თორაკოაბდომინალური ტრავმა. 15 წუთზე მეტი დაჰყავით წყალში.

თემური

დარჩა ვინმე?

ანუკი

კი. დედა და პატარა ძმა.

თემური

მიხედავდი უკვე.

ანუკი

კი.

თემური

ტელეფონი ჩართე, პაციენტები გაგიჟდებიან. მიდი.

ანუკი

არა. 45 წელიწადში ერთხელ უფლება მაქვს, ტელეფონი არ ავიღო. პირდაპირ მითხარი, რა გინდა, ნუ ეშმაკობ.

თემური

წადი, რა, სახლში, დაიძინე. ნესტანი შეგცვლის. გთხოვთ ოჯახი. რამდენიმე საათით წადი. გეხვეწები.

ანუკი

(თემურის სიმწრის ოფლს სწმენდს, გაჩეჩილ ქოჩორს უსწორებს, უცინის, პასუხს აყოვნებს.)

არა.

თემური

(სიცილს ტკივილი შეუშლის, იღიმება.)

თმა რაღა წელს შეიღებე, ქალო, ცხოვრებაში არ გქონია შეღებილი. ვიღაცას ეპრანჭები ნაღდად.

ანუკი

შენ. გეპრანჭები.

ექიმი 2

(შემოიხედავს.)

ქაბლატონო ანა, ხომ არაფერი გნებავთ? უკეთებთ დროზე?

ანუკი

ყველაფერი კარგადაა, გენაცვალე. კი, კი, დროზე მოაქვთ, ვუკეთებ. არაფერი გვაკლია.

(ექიმი 2 კარს მიიხურავს. თემურის.)

ბიჭო... კი გტკივა ძალიან, მაგრამ... მომისმინე... ნეკნების, ბარძაყის დიაფიზის მოტეხილობები საშიში არაა...

თემური

ჩემი გოგო. გამოტოვე ეგენი. თქვი.

ანუკი

(პაუზის შემდეგ.)

...ღვიძლის რღვევები არ იხურება, ღვიძლი თრომბებს ვერ აყალიბებს... რაც შეიძლებოდა, ყველაფერი გააკეთეს...

თემური

ჩემი გოგო. ეგ გამოტოვე. თქვი.

ანუკი

(ჩუმად.ს)

რამდენიმე საათი კიდევ. სულ მეტი-მეტი — ერთი დღე. მერე — ჰემორაგიული შოკი, ღვიძლის უკმარისობა, ღვიძლი ვეღარ ამუშავებს სედატივს… ვეღარ გაგიყუჩებ…

თემური

არც მინდა. არ მინდა, გამოთაყვანებული წავიდე. ეგრევე შეწყვიტე. აი, ეხლა.

ანუკი

ვერ მოითმენ, ბიჭო. მრავლობითი მოტეხილობებია.

თემური

შენ მიდი. მაგის მოთმენას რა უნდა. გონზე დავრჩები?

ანუკი

ბოლომდე გონზე იქნები.

თემური

ეგეც კარგი ამბავი.

(თემურის მობილური რეკავს. ანუკი პასუხობს.)

ანუკი

ხო, კოტიკო, გისმენ.

კოტიკო (ხმა)

ანუკი დეიდა, ბატონი თემური როგორაა?

ანუკი

ღვიძლის მასიური რღვევა. ჰემოსტაზი ვერ მიიღწევა. ჰემოდინამიკურად არასტაბილურია. ბარძაყის ძვლის დიაფიზის მრავალობითი. რბილი ქსოვილების დაზიანებები. ოცდათექვსმეტი საათი გავიდა თითქმის.

კოტიკო

ღვიძლზე ოპერატიული ჩარევა განიხილება?

ანუკი

აღარ. ჩარევაზე ჩვენება არ იყო. არაოპერაბელურია. აგერაა, ესმის შენი ხმამაღლაზე. დაელაპარაკები, თემური?

კოტიკო

ვახ! ესმოდა, ანუკი დეიდა?!...

თემური

ბატონო კოტე, გამარჯობათ.

კოტიკო

რა "ბატონო კოტე", კოტიკო დამიძახეთ, რა, ბატონო თემური.

თემური

კლინიკის მფლობელი კაცი ხარ, როგორ გაკადრო.

კოტიკო

კლინიკის მფლობელი თუ ვარ, რაღა მანდ დაწექით?! რამდენი ოპერაცია გაქვთ ჩემთან დაფინანსებული, ისედაც... ჩემი კლინიკა არ სჯობს?! თქვენი ნაჩუქარი ტომოგრაფი გვიდგას, რა ვიცი კიდევ, რა...

თემური

მადლობა, კოტიკო. ვიცი, გულით მეუბნები. გაგიმარჯოს. ბრწყინვალე ექიმი ხარ და რაინდი ადამიანი. აქ გემრიელად ვწევარ. ტომოგრაფს რა უნდა ვუყო, სულგუნს ხომ არ შევინახავ შიგ. ღვიძლია დახეთქილი. ქვებზე გვათრია წყალმა.

კოტიკო

ხელი მაინც არ გაგიშვიათ იმ ქალისთვის.

თემური

ქალი არა. პატარა გოგო იყო. ჩვენი გოგო, მაგ ასაკში, ძმას ეჩხუბებოდა დილიდან ღამემდე.

ანუკი

კარგი, კოტიკო. მადლობა, გენაცვალე, მოკითხვისთვის, ახლა სასეირნოდ უნდა წავიდეთ ეს ვაჟბატონი და მე.

კოტიკო

ბოდიში, ანუკი დეიდა. ვიცი. მესმის.

(ანუკი მობილურს საწოლის მაგიდაზე დებს.)

თემური

ვა, ცრუპენტელ, სასეირნოდ მივდივართ?!

ანუკი

(თემურის ტუჩებზე ხელისგულს აფარებს, მისკენ იხრება, ხმადაბლა.)

ცოტახანი დამელოდე, როცა მიხვალ. მალე მოვალ. ერთად ვიქნებით. სულ.

(ხანგრძლივი პაუზა.)

გახსოვს, "ბუდენბროკებს" რომ გიკითხავდი — რა მოგეწონა?! "...das vielleicht seinen Mund immer fester verschließen wird, muß er eine Möglichkeit haben, zu reden..."... ჰერ პფიულის ნათქვამი ჰანნოზე... როცა ცხოვრება პირს მჭიდროდ მოუკუმავს — მუსიკა დასჭირდება, რომ თქვას. (იცინის) მეტი არაფერი მოგეწონა იმხელა წიგნში. შენი საყვარლებიდან, რა მოგასმენინო? კლაუდიო არრაუ გინდა? გინდა — რახმანინოვს ჩაგირთავ.

თემური

შენი დაკვრის მოსმენა მომენატრა. შუბერტი, "აუფ დემ ვასსერ" დაუკარი.

ანუკი

გინდა, პაბლო კასალსი მოგასმენინო? შენი საყვარელი, სადაც ჯერ თვითონ ლაპარაკობს. "ჩიტის სიმღერა"...

თემური

კი.

(ანუკი პლანშეტს იღებს თავისუფალი საწოლის მაგიდიდან. ისმის კასალსის საუბარი, შემდეგ შესრულება — The Song of the Birds, შესრულება ხელმისაწვდომია აქ: https://www.youtube.com/watch?v=_T8DjwLt_c4&list=PPSV)

ანუკი

სადაც წახვალ — მოვალ. და შენთვის დავუკრავ. მუდამ.

(პაუზა.)

თემური

(სანამ კაზალსი საუბარს დაასრულებს და დაკვრას დაიწყებს.) ციდან ჩამოსულივით იყავი ჩემთვის, რაც დაგინახე, მერე სულ. გოგო, ჩემთან როგორ მოხვედი, კაცი ვერ ნახე?! ეგეთი ტლუ არიფი რო დაგიდის სახლში — და შენც იქ... "დადიხარ" კი არა, მეორე სიტყვას რა ჰქვია... ისა...

ანუკი

(კისკისებს.)

...დავოგმანებ.

თემური

...დაგოგმანებ, ჩემი გოგო. მიდი, წადი ეხლა სახლში, ხო ხედავ — კუდის ქიცინით გთხოვ. არ მინდა, ეგეთს მიყურო.

ანუკი

ნუ მლიქვნელობ, არ გიხდებათ კაცებს. არც კუდი გიხდებათ.

თემური

ბიჭო, შენ რანაირი ბებია ხარ, შვილიშვილი გელოდება პატარა სახლში და ფეხებზე გკიდია.

ანუკი

(კისკისებს.)

ფეხებზე მკიდია.

(თემურის სიცილს ტკივილი უშლის, მაგრამ ვერ აწყვეტინებს. ანუკი ქმრის ხელს მოსწევს საბანზე, სკამიდან გადაწვება, მტევანზე ლოყას ადებს.)

ანუკი

(ტირის.)

სად წავალ აქედან. ერთ წამს როგორ დავკარგავ. გაგაცილებ.

(პაუზა. ძლივს გასაგონად.)

ჩემი პიგმალიონი.

თემური

მე არა. რაღაცა უნდა შეგეხვეწო. გეხვეწები.

ანუკი

ყველაფერს გავაკეთებ. ყველაფერს. რასაც შენ გამიკეთებდი... მე რომ მანდ ვიწვე... და შენ რომ აქ იჯდე.

თემური

როცა მანდ აღარ იჯდები... და მე აქ აღარ ვიწვები... გაიღიმე. შენი ღიმილი... შენი ღიმილი... ისე იცხოვრე — გაიღიმე.

ანუკი

კი. გავიღიმებ. სხვები მხოლოდ მშვიდს დამინახავენ. ან — გაღიმებულს.

თემური

(თავისუფალ ხელს თმაზე უსვამს.)

ჩემი გოგო. ჩემი მზეთუნახავი.

(პაუზა. ანუკი გატრუნულია.)

ანუკი

შენი.

(სცენა ბნელდება. ინთება ორი პროჟექტორი. ერთი ანათებს "ვეფხისტყაოსნიდან" მეორე ციტატას, "შენმან მზემან, უშენოსა არვის მიხვდეს

მთვარე შენი, შენმან მზემან, ვერვის მიხვდეს, მო-ცა-ვიდენ სამნი მზენი", მეორე —კალენდარს.)

კალენდარზე: 16 თებერვალი, 2024 წელი.

(პირველი პროჟექტორი, რომელიც ციტატას ანათებდა, ქრება. განათებული რჩება მხოლოდ კალენდარი. კალენდარს ბოლოსწინა ფურცელი სძვრება, უკანასკნელ ფურცელზე — ერთადერთი სიმბოლო: ∞.)

ფარდა.
2026